საკმარი ბაჯები

№33 (725)
ოთხშაბათი
18 ოქტომბერი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.

არც გაღავდგები, არც გაღმოვდგები!

საკმაოდ უცნაური და წარმოუდგენელია, რომ მოსადს, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდი სადაზვერვო სამსახურია თავისი სპეციფიკითა და სიძლიერით, არ ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ღაზაში ათასობით ადამიანი ემზადებოდა ისრაელზე თავდასხმისთვის

ირაკლი ღარიბაშვილი: ვეტერანის სტატუსი ერთ-ერთი ყველაზე საპატიო სტატუსია ჩვენს საზოგადოებაში

„ჩვენს სამხედროებს მივესალმები და მე მინდა ყველას მოგილოცოთ დღევანდელი დღე. ვეტერანის სტატუსი, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე საპატიო სტატუსი ჩვენს საზოგადოებაში, ვინაიდან, სტატუსი, ეს არ არის მხოლოდ სიმბოლური სტატუსი, არამედ სტატუსი, რომლის მთავარი ღირსება არის, რომ ვეტერანი არის სამშობლოს დამცველი, სამშობლოსთვის თავდადებული, თავგანწირული ადამიანი, რომელიც იცავდა და იცავს ჩვენს ქვეყანას. ასე რომ, მე ქედს ვიხრი თითოეული ვეტერანის წინაშე. კიდევ ერთხელ მე მინდა, ჩვენი მთავრობის სახელით მადლობა გადავუხადო ჩვენს ვეტერანებს, ყველა ვეტერანს, ვინც გაიღო სისხლი ჩვენი ქვეყნისთვის, ვინც იცავდა, ემსახურებოდა და ემსახურება დღესაც ჩვენს სახელმწიფოს, ჩვენს ქვეყანას. იცით, რომ ჩვენი მთავრობა, ჩვენი ხელისუფლება მაქსიმუმს აკეთებს იმისთვის, რომ დავაფასოთ ჩვენი ვეტერანების ღვაწლი, სამსახური, მათ მიერ გაწეული ურთულესი ღვაწლი, მე ასე ვიტყოდი. ჩვენ ბოლო 11 წლის განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი სიახლე შევთავაზეთ ვეტერანებს, ძალიან მნიშვნელოვანი საქმეები გადავუწყვიტეთ მათ, რამდენიმე შემიძლია გავიხსენო და ჩამოვთვალო: იცით, რომ დაახლოებით 10 წლის წინ ვეტერანებისთვის არ არსებობდა საყოველთაო დაზღვევის თუნდაც მინიმალური პაკეტიც კი. ჩვენ დღეს შეიძლება ამაყად ვთქვათ, რომ სახელმწიფო, მთავრობა 125 მილიონ ლარს ხარჯავს იმისთვის, რომ ყველა ვეტერანის დაზღვევა იყოს დაფინანსებული მთავრობის მიერ. ამას გარდა, რა თქმა უნდა, დაახლოებით 40 მილიონი ლარი იხარჯება ომში მონაწილე ვეტერანების ყოველთვიურ კომპენსაციაზე, დაახლოებით 25 მილიონი ლარი იხარჯება სხვადასხვა სერვისებისთვის. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი მთავრობის გადაწყვეტილებით, იცით, რომ ომში დაღუპული ჩვენი გმირების ოჯახებს ყოველთვიური 1000-ლარიანი კომპენსაცია დაენიშნათ. მე არ ვამბობს, რომ ეს არის დიდი დახმარება, ეს არის სიმბოლური გამოხატულება ჩვენი მთავრობის მხრიდან, რომ მათ მიეცეთ ყოველთვიური დანამატი, კომპენსაცია. მე არ მინდა ჩამოვთვალო და ეს ჩამონათვალი საკმაოდ გრძელია, თუმცა, მე ვფიქრობ, რომ ამით მთავრობა კი არ ამაყობს, მე ამით ხაზგასმა მინდა გავაკეთო იმის, რომ ეს არის ჩვენი ვალი, ჩვენი მოვალეობა, რომ მაქსიმუმი გავუკეთოთ ჩვენს ვეტერანებს“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

* * *

ჩვენ ახლა ვმუშაობთ იმაზე, რომ ზოგადად, ძალოვანი უწყებების თანამშრომელთა ამჟამინდელი სამსახური იყოს შესაბამისად დაფასებული, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ვეტერანთა დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენი მთავრობის სახელით ჩვენს ვეტერანებს და ჩვენი დაღუპული გმირების ოჯახის წევრებს მივუსამძიმრო და ვუთხრა მადლობა მათი გმირობისთვის

პირველ რიგში, მინდა კიდევ ერთხელ ჩვენს ვეტერანებს მივულოცო დღევანდელი დღე, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ვეტერანთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების შემდეგ, ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

„ჩვენი ვეტერანები არიან ჩვენი საამაყო მოქალაქეები ჩვენი ქვეყნის. მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენი მთავრობის სახელით ჩვენს ვეტერანებს.

... ბოლო 10 წელში ჩვენ, შეიძლება ითქვას, დრამატულად გავაუმჯობესეთ სიტუაცია მათთვის, იქნება ეს მათი სოციალური დაცვის გარანტიები, თუ სხვა პირობების გაუმჯობესება. ასე რომ, კიდევ ერთხელ, მინდა ყველა ვეტერანს მადლობა გადავუხადო. ჩვენი დაღუპული გმირების ოჯახის წევრებს მინდა მივუსამძიმრო და ვუთხრა მადლობა მათი გმირობისთვის“, - განაცხადა პრემიერმა.

საქართველომ გააკეთა მაქსიმუმი და იმსახურებს კანდიდატის სტატუსს

ჩვენ ვიყავით გრანადაში, ესპანეთში და მე მქონდა არაერთი შეხვედრა ჩვენს ევროპელ ლიდერებთან, ჩვენ საკმაოდ დიდი პროგრესი გვაქვს, მოლოდინები არის, უნდა ითქვას, საკმაოდ პოზიტიური, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ვეტერანთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების შემდეგ, ჟურნალისტის კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომელიც კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით არსებულ მოლოდინებს ეხებოდა.

„არ მინდა ახლა იმაზე მეტი ვთქვა, რაც ამ ეტაპისთვის არის მიზანშეწონილი. მე მექნება შეხვედრები ბრიუსელში, მივდივარ ბრიუსელში ძალიან მალე და ჩვენ ახლა აქტიურად ვმუშაობთ კომისიასთან და აქტიურ კომუნიკაციაში ვართ კომისიის შესაბამის სტრუქტურებთან, ბოლო დაზუსტებები მიმდინარეობს აი ახლა და 8 ნოემბერს, ნოემბრის დასაწყისში, მე ასე მინდა ვთქვა, ნოემბერში იქნება გადაწყვეტილება კომისიის, რეკომენდაცია და ვფიქრობ, რომ საქართველომ გააკეთა მაქსიმუში, ჩვენმა ხელისუფლებამ და არა, მიუხედავად არაერთი მცდელობისა, დესტრუქციისა და საბოტაჟისა ოპოზიციის მხრიდან და სხვა შიდა თუ გარე მტრების მონდომებისა, რომ ეს პროცესი რაიმენაირად შეფერხებულიყო, ჩვენ, შეიძლება ითქვას, რომ გავედით ბოლოში. ამ ბოლოში გასვლა ჩვენ ველოდებით იმედიანად, ვინაიდან, კიდევ ვიმეორებ, ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხელისუფლების დამსახურებით, ჩვენი ხალხის მობილიზებით და მათი ნების გამოხატულებით, იმსახურებს კანდიდატის სტატუსს.

მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რა თქმა უნდა, მიუღებელი იქნებოდა სხვა გადაწყვეტილება, ისე როგორც შარშან ეს იყო აბსოლუტურად მიუღებელი, გაუმართლებელი და უფრო მეტიც, იყო უხეში შეცდომა დაშვებული ევროპის მხრიდან იმ დროს, მაგრამ მე აღარ მინდა წარსულზე გავაკეთო კომენტარები, უნდა ვიფიქროთ მომავალზე. ბოსნია-ჰერცოგოვინას აქვს სტატუსი, მოლდოვას, უკრაინას, მე ყველას მადლობა მინდა ვუთხრა ვინც მიანიჭა სტატუსი და ამ ქვეყნებს მინდა, წარმატება ვუსურვო, მაგრამ ჩემს ქვეყანაზე და ჩვენს ქვეყანაზე მაქვს მთავარი ფოკუსირება და მთავარი ყურადღება გამახვილებული, აი, ამ დამსახურებაზე და ამ ყველაფერზე, რაც ჩვენ გავაკეთეთ“, - განაცხადა პრემიერმა.

იგი უნდა ყოფილიყო ყოველთვის ქვეყნის, კანონის და მთავარი კანონის - კონსტიტუციის დაცვის სადარაჯოზე

„მინდა ვთქვა, რომ ეს, რა თქმა უნდა, ეს არის სამწუხარო ფაქტი, ვინაიდან დადასტურდა, რომ ქვეყნის, ჩვენი სახელმწოფოს მეთაური, ქალბატონი სალომე დადასტურებულად არის კონსტიტუციის დამრღვევი. ეს რა თქმა უნდა, მე როგორც ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრს და როგორც რიგით მოქალაქეს, ნამდვილად არ მიხარია.

მე არ მინდა, რომ ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი იყოს კონსტიტუციის დამრღვევი ან ნებისმიერი კანონის დამრღვევი. იმის მაგივრად, რომ პრეზიდენტს ეჩვენებინა და მაგალითი მიეცა სხვებისთვის, სხვა საჯარო მოხელეებისთვის თუ შემდგომი პრეზიდენტებისთვის, რომ იგი უნდა ყოფილიყო ყოველთვის ქვეყნის, კანონის და მთავარი კანონის - კონსტიტუციის დაცვის სადარაჯოზე, ამის ნაცვლად ქალბატონმა სალომემ უხეშად, დემონსტრაციულად, არაერთგზის დაარღვია კონსტიტუცია, რაც არა მხოლოდ ჩვენი, პოლიტიკოსების ნათქვამით და წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, არამედ საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა და ეს გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, არ გადაიხედება.

რაც შეეხება ზოგადად, შემდგომ პროცედურას, მოგეხსენებათ, რომ პარლამენტში გაიმართება შესაბამისი პროცედურა. თავიდანვე ვთქვით, რომ ვიცოდით, რომ არ გვქონდა საკმარისი ხმები, მაგრამ ჩვენ, ქვეყნის ხელისუფალნი, მთავრობის წევრები, პარლამენტის წევრები, კანონმდებლები, რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა ვიყოთ მაგალითის მიმცემები. უნდა შევახსენოთ პრეზიდენტს და ყველას, რომ ამ ქვეყანაში დასრულდა ის დრო, როცა პრეზიდენტს ეგონა, რომ იდგა კანონზე მაღლა, კონსტიტუციაზე მაღლა. ეს ძალიან სამწუხაროა. ქალბატონი სალომესგან, ალბათ დამეთანხმებით, რომ ჩვენი მოქალაქეების ნაწილს ჰქონდა მოლოდინი იმის, რომ იგი შემოიტანდა ქართულ პოლიტიკაში ევროპულ სტანდარტს. ევროპული სტანდარტი გულისხმობს იმას, რომ ყველა იცავს კანონს და კონსტიტუციას. ჩვენ სანაცვლოდ ამის სრული საპირისპირო სურათი მივიღეთ, როცა ქალბატონმა სალომემ გვითხრა, რომ ის არ ცნობს კონსტიტუციას. ეს არის სამარცხვინო ფაქტი, მეგობრებო, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

არც გადავდგები, არც გადმოვდგები, აჯაგრული ვარ!

სრულიად საქართველო და არა მხოლოდ საქართველო ელოდა როგორ დასრულდებოდა 16 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ დაყენებული იმპიჩმენტის მოთხოვნის საკითხი.

ზოგადად რომ ვთქვათ, საქართველოს, ამ ციდა ქვეყნის პრეზიდენტმა, მით უმეტეს, ქალმა, ისე როგორ უნდა აიღოს თავზე ხელი, რომ ქალმაც და კაცმაც, ხელისუფლებამაც და ხელისუფლების ოპოზიციამაც, ერთსულოვნად მოიძულონ. ის სხვა საკითხია, რომ ე.წ. რადიკალურმა ოპოზიციამ პოზიცია შეიცვალა და მანამდე თუ „ლავროვის შნუროკად“ და ფეხმრუდად მოიხსენიებდნენ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს, ნება-ნება დაოკდნენ და ბოლოს მის დამცველ ადვოკატებად იქცნენ. ფაქტად ის დარჩა, რომ საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, ყველაფერთან ერთად, ისეთივე უპრინციპო და უთავმოყვარეო პერსონა აღმოჩნდა, როგორც მისი მაგინებელი ე.წ. რადიკალური ოპოზიციის თითოეული წარმომადგენელია.

კონსტიტუციონალისტების ხატოვნად ნათქვამია, რომ იმპიჩმენტის ინსტიტუტს საფუძვლად უდევს „კეისრის ცოლის“ პრინციპი, რაც იმას ნიშნავს, რომ უმაღლესი ძალაუფლებით აღჭურვილი პირი არა მხოლოდ პატიოსანი უნდა იყოს, არამედ, ეჭვიც კი არ უნდა არსებობდეს მის პატიოსნებაზე.

„კეისრის ცოლის“ პრინციპთან დაკავშირებით მძიმე კი არა უმძიმესი მდგომარეობა გვაქვს, — პატიოსნებაში ეჭვი გვეპარება კი არა, დადასტურებულად ვიცით და ვხედავთ, რომ საქართველოს კისერზე ხათაბალად მოხვეული პრეზიდენტი პატიოსნებასთან ყოველმხრივ მწყრალად არის!

ხალხის სიბრძნე კი გამოჩნდა, არ აძლევდა ხმას საიდანღაც ამოქექილ ვიღაც რეპუტაცია შერყვნილ გაქექილ ქალს, ამიტომაც ნაციონალ გრიგოლ ვაშაძეს უტოლდებოდა „სასურველობით“, მაგრამ იძალა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისადმი“ სიძულვილმა, დაერთო ერთი კაცის ხათრი და გაიპლაკა პრეზიდენტის სასახლეში. გაიპლაკა და დაიჯერა, რომ ხალხმა ხმა მართლა *მას* მისცა და საკუთარ ნებაზე კუნტრუშის მანდატიც გამოუწერა.

იმპიჩმენტის პროცედურას ფაქტობრივად, თვით პრეზიდენტად წოდებულმა სალომე ზურაბიშვილმა გაუკეთა პროვოცირება. სხვა შეფასება, უბრალოდ, წარმოუდგენელია, რადგან იგი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ მთავრობას მოთმინების ფიალა ავსებოდა. მთავრობას მართლაც მრავალი მცდელობა ჰქონოდა, როგორმე ეს სამარცხვინო აქტი არ ჩაწერილიყო საქართველოს ისტორიის ფურცელზე, მაგრამ ამ გაქსუებულმა ქალმა მრავალგზის დარტყმა-ჩხვლეტით აიძულა მთავრობა, რომ კონსტიტუციის უპატივცემულობისა და, შესაბამისად, მასზე გადაბიჯების გამო, ქვეყნის კონსტიტუციის ღირსება დაეცვა.

იმ დროს, როდესაც ქვეყანა ისედაც უამრავი გამოწვევების წინაშე დადგა, ხოლო ქვეყნის პრეზიდენტი ენის ტლიკინთან ერთად საკუთარი ქვეყნის კონსტიტუციას გადაჯეგავს, ფეხს აიშვერს და სირბილს დაიწყებს მისთვის რაღაცით საინტერესო ქვეყნებში, ასევე მისთვის საინტერესო პირებთან მისთვისვე საინტერესო საკითხებზე საჭორაოდ, პრეზიდენტი რატომ უნდა ერქვას?

გრანადაში, ევროპული პოლიტიკური გაერთიანების (EPC) რიგით მე-3 სამიტის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე, ჟურნალისტებთან საუბრისას, რატომ უნდა დასჭირვებოდა საქართველოს პრემიერს, ბატონ ღარიბაშვილს ახსნა-განმარტება, რომ საქართველოში არსებული ვითარება ევროპელ კოლეგებსაც აუხსნა?

იმათ ვინ ეკითხება, ჩემთან რა დუღს, მაგრამ, როდესაც მსოფლიო არენაზე გამოსვლის პრეტენზია გაქვს, რაღაცები კისერზე ვალდებულებად გედება...

ყველას კარგად ესმის ამ „ქალის“ გარშემო და გამო რაც ხდება, რომ წმინდა სამართლებრივი საკითხია, მაგრამ თურმე ეს „არ არის ლამაზი“. რა არ არის ლამაზი, უცხო ქვეყნის გავლენის აგენტის იმპიჩმენტი?!

რა თქმა უნდა, ძაღლი ძაღლის ძვალს არ დატკვერს, ხან ულამაზოდ მოეჩვენებათ პრეზიდენტად წოდებული ვიღაც სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტის პროცედურაც და იმპიჩმენტიც, ხან შურისძიებად და ხან სხვა, თითიდან გამოწოვილ აღქმად. ხომ არ ჯობს, ყველამ საკუთარ მამიდას მიხედოს და საკუთარ „ტანკზე“ დაეტიოს?

პრეზიდენტის რანგში სალომე ზურაბიშვილს, როცა მისგან მიმართვები იყო მთავრობისადმი სადმე წასვლაზე, ყოველთვის თანხმდებოდნენ, რადგან ევროპაში (არამხოლოდ) მნიშვნელოვანი იყო პრეზიდენტის ხმაც, მანამდე, ვიდრე რადიკალურად შეიცვლიდა ორიენტირებს და ე.წ. რადიკალურ ოპოზიციას მხურვალედ ჩაეხუტებოდა უცხო ქვეყნიდან საქართველოს მტრად მოვლენილ დამრიგებლებთან ერთად.

რანაირი წარმოსადგენია, რომ რომელიმე ქვეყნის მთავრობა მის მაგინებელს სხვა ქვეყნებში თავისი მანდატით თავისივე სალანძღავად აგზავნიდეს?

ან რანაირი საყურებელი და მოსასმენია, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტს მის ქვეყნად წოდებულ ქვეყანაში სამოქალაქო ომიც სურს, „მეორე ფრონტის“ გახსნასაც ეშურება, ამავდროულად, ნიანგის ცრემლებს ღვრის ცალმხრივად იმ დაღუპულების გამო, რომლებიც რომელიმე ცხელ წერტილში ერთ მხარეს წარმოადგენენ, ვთქვათ, ნატო-რუსეთის ომში მხოლოდ უკრაინელები არიან დასატირები, ისრაელ-პალესტინის ხოცვა-ჟლეტაში — დაღუპული ებრაელები, ხოლო საქართველოში დასატირებლების დასატირი განწყობა სულაც არ აქვს!

იმთავითვე ისე აჟივჟივდნენ სხვა გავლენის აგენტები და მათი პატრონები, თითქოს შაყისკვრას უპირებდა ვინმე სალომე ზურაბიშვილს, არადა, ყველა აჟივჟივებულმა კარგად იცის, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტი ამ შემთხვევაში, აბსოლუტურად სამართლებრივი მდგომარეობაა, ფორმალური, იურიდიული, მაგრამ მნიშვნელოვანი პროცესი, რომელიც ხაზს უსვამს კანონის უზენაესობას, კონსტიტუციის უზენაესობას და იმას, რომ კანონზე მაღლა არავინ დგას ქვეყანაში

გასული წლის მიწურულს ვითომ პატიმარ ექსპრეზიდენტ სააკაშვილთან დაკავშირებით ისიც კი მოაჩიქორთულა, რომ კარიერის დაზიანებაც არ აშინებს, თუ ეს ზიანი მისი შეწყალების გამო მიადგებოდა. უნამუსოს გარდა ვინ ლოკავს თავის გადაფურთხებულს — „არა და არასოდეს!“ „არ დამავიწყდება ირინა ენუქიძის თვალები“... და უცბად, გამომწვევად, სიმულანტი პათოლოგის შეწყალებაზე საუბარი, მანამდე კი არანაკლები პათოლოგების შეწყალება...

ის, რა დღეშიც საქართველომ თავი ჩაიგდო, იმ აშშ-ისა და მასზე დაქვემდებარებული იმ ევროპის ბრალია, რომელთაც საკუთარი „განსაკუთრებულობის“ მითი წარმატებით ჩააგონეს საბჭოთიდან განთავისუფლებული ქვეყნის, ერთი მხრივ, ჭურში გაზრდილ მოქალაქეებს, მეორე ნაწილს — ჭურსზემოთ მყოფ, მაგრამ ქვეყნის გამყიდველებად დაბადებულებს.

პირში და ე.წ. კახურად თუ ვერ მიახლი რომელიმე განარცისებულს იმას, რასაც ფიქრობ, დიპლომატიურ ენაზე ხომ შეიძლება იმის გაგებინება, რომ კარგად ხედავ ხელისგულზე დადებულს — ე.წ. კოლექტიური დასავლეთი, „საქართველოს დაუძინებელი მეგობრები“ წამი-წამზე იგონებენ სათავისო მსოფლიო წესრიგსა და წესებს და პირველივე საჭიროებისთანავე „გემრიელად“ არღვევენ მათ, მაგრამ თუ სხვას ეხება, ვინც მათ მიბაძავს, დამრიგებლებს, როგორც მაგალითს, მაშინ მათგან რასისტიც გამოვა, ნაცისტიც და ქსენოფობიც.

საჯილდაო ქვად რომ აქციეს ევროკავშირის წევრობის კანდიდატობა (მაინც ვერ გავიგე, რა თავში სახლელად გვინდა, რაში წაგვადგება, როცა ვხედავთ, რომ მათ წევრებს ამ კავშირის დატოვებაზე უჭირავთ თვალი, დიდი ბრიტანეთი კი უკანმოუხედავად გაიქცა) საქართველოს ე.წ. პრეზიდენტიც და ქვეყანაში მყოფი უცხო ქვეყნების გავლენის აგენტი საქართველოს მოქალაქეებიც ახლა ევროკავშირის წევრობის კანდიდატობაზე უარის თქმის მოლოდინში არიან, რომ მიზეზი მიეცეთ მოლოტოვის კოქტეილების სროლისა და სხვა მავნებლური მოქმედებების ჩასადენად.

არც ერთ მხარეს არ გაუპროტესტებია, რომ ასეთ ვალდებულებებს აკისრებენ მეორეხარისხოვან ქვეყნებს, სადაც მეორეხარისხოვანი ადამიანები ცხოვრობენ; რომ ეს ყურით მოთრეული ვალდებულებები ამახინჯებს ქვეყნის კონსტიტუციას. იმ კონსტიტუციას, რომლის აბუჩად აგდების გამო პრეზიდენტს ვთხოვთ პასუხს. ბოლოს და ბოლოს, პრეზიდენტი ავია თუ კარგია, ჩემია და, იქნებ არც მოვთხოვო პასუხი, მაგრამ ევროპა და აშშ ვინ მიგდია, რომ სუვერენული (სახელად მაინც) ქვეყნის კონსტიტუციას მიმახინჯებს, რადგან ამის „დილიხორი“ აქვს. ვინ მიგდია, რომ ჩემს ეროვნულ მენტალიტეტს შეურაცხყოფს და ჩემს ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება?

აი, აქ მარხია ძაღლის თავი!

ქვეყნის პრეზიდენტი რომ საკუთარი ქვეყნის მტრებს შეეკვრება (შინაურსა და გარეულს ერთად) და საკუთარი ქვეყნის, ამომრჩევლისა და საპრეზიდენტო სკამზე დამსმელის წინააღმდეგ რატრატსა და ტუტრუცანობას დაიწყებს, მე რომ მკითხონ, მისთვის იმპიჩმენტის პროცედურა კი არა, იმპიჩმენტით დასრულებაც „თამაში და მღერაა“.

საკუთარი ქვეყნისა და ხალხის მტერი ღირსებადაკარგული პრეზიდენტისთვის იმპიჩმენტი განა სასჯელია?

„არსად არ მივდივარ. არ გადავდგები, არ გადმოვდგები. ვიქნები იქ, სადაც ვიყავი, სადაც ვარ მთელი ცხოვრება და რისთვისაც ჩამოვედი, დავრჩი, ქუჩაში ვიდექი ჩვენი ევროპული და დემოკრატიული მომავლისთვის. დღეს ერთი ქვით მოკლეს ევროპული მომავალი და დემოკრატიაც. ქვეყანაში, სადაც არანაირი ბალანსი არსებობას შტოებს შორის, ის ქვეყანა დემოკრატიულ ქვეყნად ვერ ჩაითვლება“, – განაცხადა ზურაბიშვილმა.

რა თქმა უნდა, არც გადადგება და არც გადმოდგება მანამ, სანამ პატრონები არ უბრძანებენ, პატრონებმა კი ამ ეტაპზე მაინც, რატომ უნდა უბრძანონ, მორჩილი ტიკინა ჰყავთ ამოიღლიავებული...

ქვეყნის პრეზიდენტობა წყალშეყენებული ქალი ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდებს ხალხს, მაგრამ, ნეტავ ვინ ხალხს, არაფრად რომ აგდებს თუ პირად ნაცსექტა და კრებსით ლომჯარიებს? ისიც კი ვეღარ გაუაზრებია, რომ იმ გაჭირვებულებს სათავისოდ ვერ გამოუყვანიათ ხალხი, სალომეს საიდან და როგორ დაუხატონ?

საშინელება ყოფილა ყოვლად უთავმოყვარეო ქალი!...

ნინო დაუშვილი

ნეთანიაჰუ გოლდა მეირის ბედს გაიზიარებს



მსოფლიოს ცხელ წერტილში, ისრაელსა და პალესტინას შორის არსებულ მდგომარეობას „საერთო გაზეთთან“ აფასებს პოლიტოლოგი სოსო ციწაძე.

- ბატონო სოსო, ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდით, რომ მსოფლიოში ტიტანების თამაში მიმდინარეობს. ისრაელი-პალესტინა ამ „თამაშის“ ნაწილია? საინტერესოა, როგორ გამორჩათ ამერიკის სადაზვერვო სააგენტოებს ჰამასის სამზადისი ისრაელის წინააღმდეგ?

- ეს ხომ პირველი შემთხვევა არ არის. ზუსტად ანალოგიური მოხდა 1973 წლის 6 ოქტომბერს, რასაც „განკითხვის დღის ომი“ უწოდეს. მაშინ გოლდა მეირის მთავრობა იყო. გოლდა მეირი იყო ლეგენდა, ეს იყო ისრაელის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი, ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე გამჭრიახი პრემიერ-მინისტრი. მეირი არაერთხელ გააფრთხილეს, რომ სირია და ეგვიპტე თავდასხმისთვის ემზადებოდნენ, უფრო მეტიც, ისრაელის აგენტი იყო მაშინ ეგვიპტის პრეზიდენტის, ანვარ ალ-სადათის ნომერ პირველი მრჩეველი. ის რამდენიმე დღით ადრე, ლონდონში საიდუმლოდ შეხვდა ისრაელის გენერალური შტაბის მაშინდელ უფროსს და პირდაპირ გადასცა კოდი, რომ ამ კონკრეტულ დღეს ეგვიპტე და სირია შეტევას დაიწყებდნენ. თუმცა, არ დაიჯერეს, რადგან მაშინ თელ-ავივში ფიქრობდნენ, რომ 1967 წლის ომის შედეგად ისე დასუსტდა და განადგურდა პალესტინა და ჰამასი, რომ მათ აღარ ჰქონდათ ახალი ომის დაწყების თავი, მით უფრო, ეგვიპტესა და სირიასთან. თუმცა, ომი მაინც დაიწყო და საბოლოოდ, ისრაელის გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ ძალიან ძვირი დაუჯდა მაშინ არაბულ სახელმწიფოს ეს გამარჯვება. შეიქმნა კომისია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თავმჯდომარეობით და ამ კომისის დასკვნის შედეგად, არმიის დაზვერვაში ბევრმა თანამდებობის პირმა დაკარგა თანამდებობა. საბოლოო ჯამში, ლეგენდარული ბებია გოლდაც, როგორც მას ისრაელი მოფერებით ეძახდა, იძულებული გახდა, გადამდგარიყო.

ანალოგიური მდგომარეობაა ახლაც. თანაც, ეტყობა, ნეთანიაჰუს მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო შიდა მოვლენებზე, რის გამოც მნიშვნელოვანი მომენტი გამორჩა და ისრაელის წინააღმდეგ ჰამასის სამზადისი უყურადღებოდ დარჩა. ჰამასის თავდასხმამდე ცოტა ხნით ადრე, მთელი გარე სამყარო ეჭვის თვალით უყურებდა ნეთანიაჰუს, რადგან მის მიერ განხორციელებულ სასამართლო რეფორმას დემოკრატიის უკან გადადგმულ ნაბიჯად აფასებდნენ. ნეთანიაჰუმ მიიღო ქაღალდი, რის საფუძველზეც, უზენაეს სასამართლოს აეკრძალა პოლიტიკოსების მიერ მიღებული კანონის შეცვლა, რაც აღიქვეს, როგორც შეტევა სასამართლოს დამოუკიდებლობაზე. ამ პერიოდში კი, როგორც ჩანს, ჰამასი გამალებული ემზადებოდა საომრად.

- რუსეთის მხრიდან გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს უკრაინამ ჰამასს იარაღი მიჰყიდა...

- ეს ზღაპრებია, ამას ამბობენ რუსეთის „ფეიკები“. ჰამასი შეიარაღებულია 1970-იანი წლებიდან, ყოველთვის ჰქონდა იარაღი და დღესაც თავზე საყრელად აქვს. არც თვითმფრინავები და ტანკები აკლდა ოდესმე. ჰამასს აქვს ასევე, საიდუმლო მიწისქვეშა გვირაბები, რომლებიც დღეს მთავარ პრობლემად იქცა ისრაელისთვის. ისაელი ახლა უკვე დაიწყებს სახმელეთო ოპერაციას, თუმცა ჯერ კიდევ არ არის დადგენილი იმ 120 მძევალის ადგილსამყოფელი, რომელებსაც არაბები მალავენ. ძალიან რთული სიტუაციაა, რადგან ისრაელი ცნობილია იმით, რომ მთელი თავისი არსებობის განმავლობაში მტკივნეულად და უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება თითოეული თავისიმოქალაქის სიცოცხლეს. მაგალითად, რამდენიმე წლის წინათ ისრაელმა ერთ თავის დატყვევებულ ჯარისკაცში ჰამასის 1300 „ბოევიკი“ გაცვალა. ახლა კი სიტუაცია მეტად რთულია, რადგან საკითხი ეხება არა ჯარისკაცებს, არამედ, ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს... მიუხედავად იმისა, რომ დაბომბვები კვლავაც გრძელდება, ისრაელში დაიწყო ძალიან მძაფრი საპროტესტო აქციები. მძევლად აყვანილი ადამიანების ახლობლები, მეგობრები, მშობლები, შვილები... მოითხოვენ მთავრობისაგან, ყველაფერი გააკეთონ მძევლების გასათავისუფლებლად. თუმცა, აქ შეიცვალა ერთი რამ, რასაც, სამწუხაროდ, ჟურნალისტები ყურადღებას არ აქცევენ: ადრე თუ ყოველთვის ადამიანის სიცოცხლე იყო პრიორიტეტი ისრაელისთვის - თუნდაც ერთი მოქალაქის სიცოცხლე, დღეს უკვე ნეთანიაჰუსთვის პრიორიტეტი ჰამასის განადგურებაა. ასეთი რადიკალური ცვლილება მოხდა. ნეთანიაჰუმ და სამხედროებმაც რამდენჯერმე პირდაპირ და ღიად განაცხადეს, რომ მძევლების გათავისფლების ოპერაცია ჰამასის განადგურების გეგმას ხელს ვერ შეუშლის. რამდენიმე დღეა, ისრაელის თვითმფრინავები ფურცლებს ყრიან და მოუწოდებენ ღაზას მოსახლეობას, დატოვონ ტერიტორია და სამხრეთში წავიდნენ, მაგრამ როგორ უნდა წავიდნენ? ეს ასე ადვილი არ არის. ომით, როგორც ყველგან, აქაც, ყველაზე მეტად მშვიდობიანი მოსახლეობა ზარალდება. წარმოუდგენელია ჰამასის სისასტიკე და მის დაცვას ახლა ვერავინ შეძლებს, რადგან ისეთი ცივსისხლიანი ადამიანების გამართლება შეუძლებელია, რომლებიც ხოცავენ ბავშვებს, ქალებს, ყელს ჭრიან ადამიანებს... გაეროს გენერალურმა მდივანმა გუტერეშმა, თავის მიმართვაში მოუწოდა ისრაელის თავდაცვის არმიას, მეტი სიფრთხილე გამოიჩინონ ამ სახმელეთო ოპერაციის დროს მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ, მაგრამ ეს პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.

- თქვენი ვარაუდით, კიდევ რამდენ ხანს შეიძლება, ომი გაგრძელდეს და რა შედეგებით დასრულდება ის?

- დღეს უკვე მსოფლიოს საზოგადოებას ეჭვი აღარ ეპარება, რომ ისრაელი გაიმარჯვებს, როგორც ორჯერ ორი ოთხია და ამაზე არავინ კამათობს. ისრაელი გაცილებით ძლიერია შეიარაღებით, გაწვრთნილი არმიით. ამერიკა და მთელი ცივილიზებული მსოფლიო მათ გვერდში დაუდგა. გაიმარჯვებს ისრაელი, მაგრამ მთავარია, რა მოხდება გამარჯვების შემდეგ, ან როდის მოიპოვებენ ამ გამარჯვებას. ყველაზე პესიმისტური პროგნოზით რომ ვივარაუდოთ, ყველაფერი 2-3 კვირაში დამთავრდება. თუმცა, სავარაუდოდ, შეიქმნება სპეციალური კომისია, დაიწყება საპროტესტო გამოსვლები და ნეთანიაჰუს ერაც დასრულდება. ბენიამინ ნეთანიაჰუ არის ჩაუძირავი სამხედრო გემი, რომელსაც ამდენი წელია ირჩევენ და ირჩევენ, რადგან ისრაელის მოქალაქეებს მიაჩნდათ, რომ ის იყო ყველაზე ძლიერი, ყველაზე შორსმჭვრეტელი, ყველაზე მტკიცე ნებისყოფის მქონე პოლიტიკოსი. თუმცა, იმ ფაქტს, რომ მან საფრთხე ვერ შენიშნა და გამოეპარა ეს ყველაფერი, სავარაუდოდ, არ აპატიებენ. მართალია, ეს დაზვერვის თემაა და დაზვერვის არაერთი სამსახური იყო პასუხისმგებელი, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ყველაფერზე მაინც ქვეყნის პირველი პირი აგებს პასუხს. ეს დაუწერელი კანონია. თუმცა, შესაძლოა, ისეც მოხდეს, რომ მოსახლეობა ნეთანიაჰუს გარშემო გაერთიანდეს.

1948 წლიდან მოყოლებული, პირველად ისრაელის ისტორიაში, პირველად ისრაელის დემოკრატიულ მთავრობაში, მოხვდნენ ულტრამემარჯვენე, ულტრარეაქციული სასულიერო პარტიები, რელიგიური მიმართულების პარტიები. აი, თუ შეგინიშნავთ ტელევიზიით, თმა რომ ნაწნავებივით ჰკიდიათ... მათ ადრე მთავრობას არავინ აკარებდა, მაგრამ იმის გამო, რომ ნეთანიაჰუს ხმები არ ჰყოფნიდა მთავრობის შესადგენად, კოალიციაში შეიყვანა ეს პოლიტიკური ძალები, რომლებიც მანამდე, დემოკრატიულ ისრაელში კეთროვნებად მიაჩნდათ. მათ ხელს არავინ ახლებდა, მაგრამ ხელისუფლებას ახლოს არ აკარებდნენ... ასე რომ, თუ რაღაც ძალებით ნეთანიაჰუს ხალხი ისევ გვერდით დაუდგა, კიდევ უფრო მემარჯვენე გახდება მთავრობა და ეს ახლო აღმოსავლეთის ერთადერთი დემოკრატიული ქვეყანა, რომლითაც დღეს აშშ და მთელი ცივილიზებული სამყარო ამაყობს, შეიძლება ანტიდემოკრატიულ ტენდენციებზე წავიდეს და ამის პირველ ნაბიჯად სწორედ დამოუკიდებელ სასამართლოზე შეტევა განიხილება. დღეს კი აშშ-სა და ცივილიზებულ სამყაროს სასამართლოს ძალის შესუსტება აწუხებთ, თორემ ჰამასი რომ განადგურდება, ამაში ეჭვი არავის ეპარება.

- არის საშიშროება, რომ ეს დაპირისპირება რელიგიურ ომში გადაიზარდოს?

- ეს უკვე დიდი ხანია, რელიგიური ომია, მაგრამ ძალიან რთული „ვინეგრეტია“ - ყველაფერი ერთად არის: რელიგიური, პოლიტიკური, სამოქალაქო... ვინაიდან ერთ ქვეყანაში ცხოვრობენ არაბები და ებრაელები. პალესტინა ხომ დამოუკიდებელი სახელმწიფო არ არის, ავტონომიაა! ის არის ისრაელის შემადგენელი ნაწილი. ამიტომ, გარკვეული გაგებით, ეს ომი ერთიანად ყველაფერს მოიცავს, თუმცა, მთავარი უბედურება მაინც ურთიერთსიძულვილია. მართლაც როგორ უნდა სძულდეს ერთ ადამიანს მეორე, რომ მას თოთო ბავშვი მოუკლას საწოლში, ის ხომ ადამიანი აღარ არის! ამის წინ ერთი არაბი პოლიტოლოგის წერილს ვკითხულობდი, სადაც ის ამბობდა, რომ ცხოვრებამ ისე გამოწურა პალესტინელები ყოველგვარი ადამიანური გრძნობისგან - ლიმონს რომ ხელი მოუჭირო და ბოლომდე გაწურო. სიკეთე, სათნოება, მიმტევებლობა, კაცთმოყვარეობა, ყველაფერი „გამოიწურა“ ამ ადამიანებისგან, აღარაფერი დარჩა მათში. გოლდა მეირი წერდა თავის მემუარებში, რომ დადგება დრო, როცა არაბებს ჩვენ იმაზე ნაკლებად ვეძულებით, ვიდრე თავიანთი შვილები ეყვარებათო... თუმცა ჯერ კიდევ, არაბებს უფრო მეტად სძულთ ებრალები, ვიდრე თავიანთი შვილები უყვართ. ამიტომ, როცა საკითხი დგება, მოკლას უცხო თუ გადაარჩინოს თავისი შვილი - ის კლავს უცხოს. სანამ ასეთი სიძულვილი არსებობს, ვერავითარი გამარჯვებული არ იარსებებს.

- თუმცა, არც ისრაელის მხრიდან ვხედავთ ნაკლებ სისასტიკეს. ხომ არ არის სავარაუდო, რომ მან ამის გამო ის პრივილეგია დაკარგოს, რითაც, როგორც აღნიშნეთ, დღეს ცივილიზებული სამყარო ამაყობს და ნეთანიაჰუს ამდენწლიანი თავდადებაც ქვეყნის წინაშე, კრახით დასრულდეს?

- აქამდე, საამაყო იყო, რომ მიუხედავად ასეთ გარმოცვაში ცხოვრებისა, 1948 წლის 15 მაისიდან დღემდე, ისრაელი იყო დემოკრატიის ნიმუში. ისრაელის არმია არასდროს მოქმედებდა ველური შურისძიების პრინციპით, მაგრამ დღეს პირველად შეიცვალა რეალობა. თვითონ ბენიამინ ნეათანიაჰუ ისტორიული პიროვნებაა, იბრძოდა მისი ძმა, იონათამ ნეთანიაჰუც. 1976 წელს ტერორისტებმა გაიტაცეს თვითმფრინავი პარიზი-თელ-ავივის რეისი და უგანდაში დასვეს. სწორედ ნათანიაჰუს ძმა იყო იმ ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელიც ღამე ჩაფრინდა ადგილზე

1183. →

ორბანი რუსეთის აზრს რომ უწევდეს ანგარიშს, ოკუპაციის ხაზთან მისვლაზე უარს იტყოდა

გვესაუბრება
პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი
რამაზ საყვარელიძე:

— ბატონო რამაზ, უნგრეთის პირველი პირი ორბანი სამდღიანი ვიზიტით საქართველოში იმყოფებოდა. როგორ შეფასებთ მის ვიზიტს?

— საქართველოში მოვლენებს ყველა სხვადასხვაგვარად აფასებს. ოპოზიციამ სხვა ვერაფერი მოიფიქრა და ორბანი რუსეთის მეგობარი და მისი სტილის მმართველიაო. ამის საპასუხოდ შემდეგს ვიტყვი: ორბანი იმყოფებოდა კონფლიქტის ზონასთან, საზღვარზე, რითაც ყველაფერია ნათქვამი. მოგეხსენებათ, ანალოგიური ვიზიტების დროს ყველაფერი წინასწარ იგეგმება. ამიტომ მას შეეძლო კონფლიქტის ზონაში მისვლაზე უარი ეთქვა, მაგრამ ასე არ მოიქცა. ის მივიდა იქ, სადაც რუსეთის დანაშაული, რუსული ოკუპაციის ფაქტი ცალსახად გამოხატულია. იქ მისვლა, ორბანის მხრიდან, პირიქით, ანტირუსული ნაბიჯია ისევე, როგორც ანტირუსულ ნაბიჯად მიაჩნია რუსეთს რიგი პოლიტიკოსების ვიზიტს უკრაინაში. პუტინი მათ მტრებად მიიჩნევს. ორბანი რუსეთის აზრს რომ უწევდეს ანგარიშს, იგი ოკუპაციის ხაზთან მისვლაზე უარს იტყოდა. ასე რომ, ოპოზიცია ტყუილად ცდილობს ამ თემით მანიპულირებას. ორბანის სამდღიანი ვიზიტი ქართული პოლიტიკის ძალიან დიდი გამარჯვებაა.

ანალოგიური ითქმის ჩინეთთან საქართველოს ურთიერთობაზე. ოპოზიცია მაშინაც იგივეს ამბობდა: ჩინეთი ავტორიტარული ქვეყანაა და მასთან ურთიერთობა დემოკრატიის უკუსვლააო. ასეთი შეფასებების მოტივი ის იყო, რომ საზოგადოებას ჩვენი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის წარმატება უარყოფითად შეეფასებინა. აქაც, სახეზეა საგარეო პოლიტიკის წარმატება.

ჩვენ არ ვართ განებივრებული ქვეყნების პირველი პირების ვიზიტებით. პოლიტიკაში ყველა დეტალს მნიშვნელობა აქვს. სამდღიანი ვიზიტი სერიოზული განაცხადია. ჩინეთის პირველმა პირმაც იგივე მხარდაჭერა აღგვითქვა: რაც უნდა მოხდეს, ჩინეთი თქვენს გვერდით იქნებაო. ზოგმა ქილიკი დაიწყო: სამი დღე საქეიფოდ ჩამოვიდაო. ეტყობა, ისინი ცუდად იცნობენ უნგრულ საშხარეულოს, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერ სამზარეულოს თავისუფლად უწევს კონკურენციას. სირცხვილია, როცა ქვეყნის პირველი პირის ვიზიტს ასეთ ჩარჩოში აქცევ, თითქოს აქ საჭმელად ჩამოვიდა. ამ ვიზიტის დადებითი მხარეები იმდენაც ცხადია, მხოლოდ ასეთი ქილიკით მხოლოდ თავად ოპოზიცია დააკნინებდა. რამდენიმე პოზიტივს გამოვყოფ: მნიშვნელოვანია ორბანის გულითადი დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნისადმი; მას გამბედაობა ჰყოფნის, კრიტიკა გამოთქვას კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით ევროპის ქმედებაზე. **როცა ბორელი იყო ჩამოსული, ველოდი, რომ ბოდიშს მაინც მოიხდიდა სტატუსის არმონიჭების გამო. მსგავსი არაფერი წამოსცდენია. ანუ, ისინი თავიანთი გადაწყვეტილების მონები გახდნენ. რაც ერთხელ თქვეს, იმის გადათქმა უჭირთ** ისევე, როგორც ბევრ ევროპულ სახელმწიფოს. ევროპამ მიიღო ეს გადაწყვეტილება, ესე იგი სწორია — ასეთი კონფორმისტული დამოკიდებულება ბევრს აქვს. ორბანის მხრიდან დასაფასებელია, რომ მას შეუძლია საკუთარი პოზიცია დაიცვას, თანაც ყურადღება არ მიაქციოს იმას, მისი განცხადებები ფეხის ხმას მიჰყვება თუ არა.

— ევროკავშირის ინტერესი კავკასიის რეგიონს ხომ სწორედ საქართველოს მეშვეობით უნდა დაუკავშირდეს?

— რა თქმა უნდა, ევროკავშირის ინტერესი საქართველოს რეგიონს უნდა დაუკავშირდეს, თანაც იმ პირობებში, როცა ჩინეთი ემზადება, ტრანზიტის სარტყელი აქეთ გადმოიტანოს. ეს არის ჩინეთის ტრანზიტი ევროპისკენ. ამიტომ სრულიად გაუგებარია ევროკავშირის კავკასიის მიმართ დამოკიდებულება. მათ ფონზე ორბანის პოზიცია პოლიტიკური სიმწიფის მაჩვენებელია. სხვები განცხადებებს ერთმანეთის მიბაძვით აკეთებენ. ხალხს ცხვრის ფარას ვადარებთ-ხოლმე. ასეთივე მიმართებაა სახელმწიფოებს შორის. ლიდერ სახელმწიფოს სხვები ცხვრის ფარასავით მიჰყვებიან. დასაფასებელია, რომ ორბანმა გადაწყვიტა საქართველოს მიმართ საკუთარი პოზიცია მკაფიოდ გამოეხატა. ჩვენი ქვეყნის მიმართ სრულიად ევროპულ გაერთიანებასაც იგივე პოზიცია რომ ჰქონოდა, ეს მათთვისაც პოლიტიურად გაცილებით მომგებიანი იქნებოდა.

გამორიცხული არც ისაა, ამერიკა სატრანზიტო დერეფნის „გაფუჭებით“ იყოს დაინტერესებული, რათა ჩინეთი უფრო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს. ჩინეთი ამერიკისთვის კონკურენტია. ამერიკას შეუძლია ჩინეთთან კონკურენციას ევროპა „წააკლას“. ევროპამ საკუთარ თავს თვითონ უნდა მოუაროს და განსაზღვროს, რა აწყობს და რა — არა. მხოლოდ ამერიკის გამო იმ ნაბიჯების გადადგმა, რაც მას გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება არ აწყობდეს, რა თქმა უნდა, მიუღებელი და ახლომხედველობის გამოხატულებაა. ცუდად აღიქმება, როცა ადამიანი სხვების საამებლად დგამს ამა თუ იმ ნაბიჯს და დამოუკიდებლად ფიქრიც კი არ შეუძლია. ამ ფონზე უნგრეთი სასიამოვნოდ გამოირჩევა. თქვენი რეპლიკა სწორია, ევროპამ, წესით, ძალების ახალ გადანაწილებაში თავისი ადგილი უნდა იპოვოს. ჯერჯერობით ამის ნიშნები არ ჩანს.

— ოქტომბრის ბოლოს ევროკომისიის გადაწყვეტილებას ველოდებით. რა შეიძლება გახდეს სტატუსის არმოცემისთვის რეალური ხელისშემშლელი ფაქტორი?

— ირაკლი კობახიძემ არაერთხელ აღნიშნა, რომ წინა ჯერზე კანდიდატის სტატუსის არმონიჭება პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო. გადწყვიტეს, ევროპის კონტურებისგან, საზღვრებისგან დაშორებული ქვეყნისთვის თავი არ შეიწუხონ. ამას შეიძლება, ისიც დაემატოს, რომ ამერიკისა და რუსეთის ინტერესებში არ შედის ჩინეთიდან ტრანზიტის აქეთ გადმოტანა, ევროპამ კი ამას ანგარიში უნდა გაუწიოს. აქვე შეიძლება გამოიკვეთოს ჩინეთის, როგორც დაინტერესებული მხარის ფარული, წმინდა დიპლომატიური აქტივობა და მოითხოვოს, რომ ტრანზიტი ხელუხლებელი დარჩეს. ჩინეთთან კამათის თავი არც რუსეთს აქვს და

არც ევროპას. ეს პირობა მეჩვენება იმის გარანტად, რომ კანდიდატის სტატუსის მოპოვების უფრო მყარი საფუძველი გვქონდეს.

— სააკაშვილმა საზოგადოებრივი დარბაზი გახსნა...

— ეს მხოლოდ სააკაშვილის ემოციებზე მიუთითებს. საქმე ისაა, რომ „ნაცმოძრაობაში“ მიმდინარეობს პროცესები, რომლებმაც სააკაშვილს გვერდი აუქცია. ამ მისაღების გახსნა იმის მცდელობაა, რომ მიშამ საზოგადოებას და თავის პარტიას თავი შეახსენოს, ცოცხალი ვარო.

— ვიდრე მიშა მუზეუმს ხსნის, კეზერაშვილი კვიპროსზე ტრენინგებს მართავს...

— ნიუტონმა შექმნა თეორია მიზიდულობის შესახებ, ოღონდ მას გამორჩა, რომ დედამიწის მატერიალური სხეულების მასის გარდა, მიზიდულობის დიდი უნარი ფულის მასასაც აქვს. კეზერაშვილის ფულის მასამ მიიზიდა ოპოზიციონერი ლიდერები, თორემ კეზერაშვილი არ არის ცნობილი პოლიტიკური აქტივობებით, რამაც შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ მის პოლიტიკურ ხიბლს ვერ გაუძლეს. ჯერჯერობით ჩანს ის, რომ ამ პოლიტიკური ძალის კონცენტრაცია კეზერაშვილის გარშემო ხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ „ნაცმოძრაობა“ სააკაშვილზე მალე უარს იტყვის. ორი ხანჯალი ერთ ქარქაშში ვერ ჩაეგება. სააკაშვილს ამ პროცესში თავის მიზნების მიღწევა დასჭირდება. შეიძლება საინტერესო და პროდუქტიული ყოფილიყო, მას ახალი პარტია რომ შეექმნა. თუმცა ეს შეუძლებელია. ამას მეტი ფიქრი სჭირდება. თვითონ სააკაშვილს და მის პირად გარემოცვას ასეთი რესურსი აღარ აქვთ. რესურსის უქონლობა თუნდაც იმაში ჩანს, რომ იგი ხან მოწამლული იყო, ხან კვდებოდა, ხან დემენციის დიაგნოზი დაუსვეს, მერე უცებ გამოკეთდა და აქტივობა გადაწყვიტა. ეს ხომ ნიშნავს, რომ გაწერილი სცენარი კარგად დათვლილი არ აქვს, მხოლოდ განწყობილებებით, ემოციებით ხელმძღვანელობს. სანამ ციხიდან გასვლა უნდოდა, სამედიცინო დიაგნოზების კორიანტელი დააყენა, მერე როცა შეაწუხა იმ ემოციამ თავის პარტიაში ლიდერობას კარგავს და როგორც პოლიტიკური ფიგურა ნული ხდება, აქტიურობა დაიწყო. სააკაშვილი ემოციებით მოქმედებს და არა სტრატეგიით. სტრატეგია რომ გააჩნდეს, ვიმეორებ, ცალკე პარტიას შექმნიდა, სადაც მისი თაყვანისმცემლები გაერთიანდებოდნენ და ეს ახალი ჯგუფი 5%-იან ბარიერს გადააბიჯებდა. „ნაცმოძრაობა“ ბარიერს ხომ მიშას მხარდამჭერების ხარჯზე ლახავს. გამოიყვანოს მიშამ თავისი მხარდამჭერები ცალკე და ვინც უღალატა, ზურგი შეაქცია, მშრალზე დატოვოს.

— ხოშტარიამ და ჯაფარიძემ შექმნეს საიტი მონა.ჯი, სადაც იმ ხალხის მხილება მოხდება, ვინც რუსეთისთვის სასარგებლო საქმეს აკეთებს.

— ეს ხერხი, რუსეთის მტრობა გაიხადოს მთავარ საქმედ, ვინც თავად რუსეთზე მუშაობს, საკმაოდ ხშირია. ამას თავად რუსეთიც ხშირად მიმართავს. ის პრაგმატიკოსია და თანახმაა, ამა თუ იმ ჯგუფმა აგინოს, ოღონდ ის საქმე გააკეთოს, რაც მას სჭირდება. რუსული ფარული სპეცპოლიტიკის სტილი ხშირად არის ისეთი, რასაც ახლა ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი ამჟღავნებს.

— ბოლოს, ახალი ელჩის რობინ დანიგანის დანიშვნაზეც გვითხარით ორიოდ სიტყვა...

— დეგნანისა და დანიგანის გვარი ერთიდაიგივე ხმოვნებსა და თანხმოვნებს უყრის თავს, ოღონდ სხვადასხვა თანმიმდევრობით. ეს ისე. ჯერ ვერაფერს გეტყვით, რადგან არ ვიცი, როგორი იქნება ამერიკის პოლიტიკა საქართველოში. დანიგანი არ არის იმ დონის დიპლომატიური გამოცდილების მქონე, რომ მის დამოუკიდებლობაზე, მიღწევებზე ვილაპარაკოთ, მაგრამ მას თავისი მოკარნახე ჰყავს. დასაწყისში დეგნანიც, სანამ ტრამპის პოლიტიკას ატარებდა, ძალიან ზომიერი და კორექტული იყო, ბაიდენის პოლიტიკის გატარება რომ დაიწყო, უტაქტო, არადიპლომატიური გახდა. მისი ქცევები დემონსტრირება იყო იმისა, რაც ქართულ სუვერენიტეტს სირთულეს უქმნიდა. ბაიდენს სხვა ქვეყნების სუვერენიტეტის წინააღმდეგ ნაბიჯების გადადგმა ახასიათებს. გავიხსენოთ საფრანგეთის პრეზიდენტის, ასევე შარლ მიშელის მიერ წარმოთქმული სიტყვები: ჩვენს სუვერენიტეტს პატივი ეცითო. ასე რომ, ამერიკას მხოლოდ ჩვენდამი არ აქვს ასეთი დამოკიდებულება. ეს ნიშნავს, რომ სხვის სუვერენიტეტს ამერიკა პატივს არ სცემს. ვშიშობ, ვიდრე ბაიდენი ხელისუფლებაში იქნება, ჩვენი მიმართულებით არაფერი შეიცვლება. მნიშვნელოვანია არა ელჩი, არამედ ხელისუფლება, რომელსაც ის ემორჩილება. 2024 წელს ამერიკის ხელისუფლება თუ შეიცვლება, დანიგანიც თავის სტილს შეიცვლის.

თამარ შველიძე
555 23 28 24

საქართველო მუდმივად საფრთხის ქვეშაა, მაგრამ არ უნდა გვეშინოდეს!

ნომრის სტუმარია ჟურნალისტი ნუკა არველაძე:

- ნუკა, მინდა საუბარი მსოფლიოს ამჟამინდელი ცხელი წერტილით, ისრაელით დავიწყოთ. მე პირადად, აღარ მეგონა, თუ ოცდამეერთე საუკუნეში კიდევ შეიძლებოდა მსგავსი სასტიკი მეთოდებით ბრძოლა, როგორიც ახლა ისრაელსა და პალესტინას შორის მიმდინარეობს...

-პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ რასაც ვამბობ, ეს ჩემი პირადი აზრი და დამოკიდებულებაა, იქიდან გამომდინარე, რასაც ყოველდღიურ რეჟიმში ვხედავ და რა გამოცდილებაც ჩემმა პროფესიამ მომცა. თუ ისტორიას გადავავლებთ თვალს, ყველა საუკუნეში ხდებოდა რაღაც ამდაგვარი მსოფლიოში. ამჟერად თითქმის 50-წლიანი პაუზა გამოუვიდა სამყაროს, თუ ვიეტნამის ომს არ ჩავთვლით. ბუნებით პაციფისტი ვარ და მიმაჩნია, რომ კომუნიკაციითა და გულწრფელობით ყველაფრის მოგვარება შეიძლება, რადგან ძალადობა შობს ძალადობას. თუმცა, ადამიანების გარკვეული ნაწილი ომებისკენ არის მიდრეკილი. ასე რომ, ახალი არაფერი ხდება, უბრალოდ, ყველაფერი მეტად მძაფრად და უფრო დიდი მასშტაბებით მიმდინარეობს, რადგან გვაქვს გახსნილი ინფორმაციული ველი, ვცხოვრობთ ტექნოლოგიურ ეპოქაში, როცა ადამიანს შეუძლია აიღოს ტელეფონი და პირდაპირ რეჟიმში წამებში გაიგოს, რა ხდება მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. ამიტომ განვიცდით ყველაფერს ასე მძაფრად, თორემ უარესი ხდებოდა ვიეტნამის ომის დროს, ერაყის ომში, სულ რაღაც ოციოდე წლის წინათ. გამომდინარე აქედან, ისრაელის თემა გლობალური ომის გაგრძელების ერთ-ერთი ეტაპია.

მნიშვნელოვანია, რომ ეს ომი შეიძლება გადაიზარდოს რელიგიურ დაპირისპირებაში, რაც ყველაზე საშიშ ელემენტად მიმაჩნია. ერთია, როდესაც მიდის ტერიტორიებისთვის ბრძოლა, მაგრამ როცა ამას უკვე რელიგიური იდეოლოგია ემატება, ეს საშიში პროცედენტია მსოფლიოში. მე ვფიქრობ, ეს არის ჰეგემონიისთვის ბრძოლა. ამ შემთხვევაში - ნატო-ს ჰეგემონიის შენარჩუნების მცდელობა. ვხედავთ, რომ დაკვირვების რეჟიმში არიან ნატო-ს ჰეგემონიის მოწინააღმდეგე ქვეყნები: რუსეთი, ჩინეთი, ინდოეთი... რადგან მკვეთრი პოზიციები არც ერთის მხრიდან არ გამიგია. ისინი მხოლოდ აკვირდებიან, როგორ უმკლავდებიან ადამიანები ხელოვნურად დატრიალებულ ამ უბედურებას. ვერავინ დამაჯერებს, რომ „ჰამასის“ მოქმედებები გამოეპარათ მოსადს და ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო ორგანიზაციის აგენტებს. ყველამ ვიცით, სადაც აშშ-ის ინტერესებია, ყველაფრის შესახებ ინფორმაცია მარტივად ხელმისაწვდომია მათთვის და ამერიკის ინტერესებში ისრაელი და პალესტინა ნამდვილად შედის. ამიტომ, ეს არის ძალიან ცუდი პრეცედენტი, რომელიც დააზარალებს აბსოლუტურად ყველა ხალხს, ოღონდ არა მათ - ვინც ეს ომი წამოიწყო.

ისრაელი-პალესტინის ისტორია 40-იანი წლებიდან, ომის შემდგომი პერიოდიდან, მას მერე, რაც „გადააბარეს“ ტერიტორია, სახელად „პალესტინა“, სადაც ხალხი ცხოვრობდა. ზოგადად, მაღიზიანებს ნებისმიერი ქვეყნის აღქმა ტერიტორიად, რადგან ჩვენი ქვეყნის მიმართაც იყო ამის რამდენიმე მცდელობა.

პალესტინა აღიქმებოდა არა როგორც ქვეყანა, არამედ, როგორც ტერიტორია და იმიტომაც მოხდა ის, რაც მოხდა. თანავუგრძნობ იმ ადამიანებს, ვინც ამ ომისგან ზარალდება, პალეტინელ და ებრალელ ხალხს, რადგან, არც ერთია დამნაშავე და არც მეორე. ჩემთვის ის ხალხია დამნაშავე, ვისაც ვითომ გამოეპარა ერთწლიანი სამზადისი და ამხელა ბუმბერაზმა სადაზვერვო სააგენტოებმა ეს ვითომ ვერ შენიშნეს. იმდენად უკონტროლო სიტუაციაა, თუ სასწრაფოდ არ დაასრულებენ ამ ომს, ეს ისევ ებრაელი ხალხისთვის იქცევა ყველაზე დიდ პრობლემად.

- რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, გარკვეული ძალები სიამოვნებით ჩააბამდენენ ომში საქართველოს, ჩვენმა ხელისუფლებამ რომ თუნდაც ერთი პატარა შეცდომა დაუშვას. როგორ ფიქრობთ, არის ომის დაწყების საფრთხე საქართველოში?

- მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, ჩვენი ქვეყანა მუდმივი საფრთხის ქვეშაა, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ უნდა გვეშინოდეს. ეს ნიშნავს, რომ ქვეყანამ თანმიმდევრული, სწორი პოლიტიკა აწარმოოს. უნდა გვქონდეს დალაგებული ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან, რასაც ჩვენი მთავრობა ამ ეტაპზე ძალიან კარგად ართმევს თავს. შეიძლება დიდი მეგობრები არ ვიყოთ მეზობელი ქვეყნების, მაგრამ ინტერესთა თანხვედრა უნდა გვქონდეს, რითაც ერთმანეთს გავუფრთხილდებით. თუნდაც ალიევის ვიზიტი არჩევულებრივი შედეგებით, უნგრეთიდან ორბანის ვიზიტი - არაჩვეულებრივი შედეგებით, პრემიერ-მინისტრის ძალიან წარმატებული ვიზიტი ჩინეთში - ჩვენს ქვეყანას ძალიან წაადგება. როგორი მნიშვნელოვანია არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან თავისუფალ ვაჭრობაზე ხელმოწერა... ეს ყველაფერი ნიშნავს, რომ ვალაგებთ მეზობლებთან ურთიერთობას. ვნახეთ, თუნდაც ერდოღანი როგორ შეხვდა ჩვენს პრემიერ-მინისტრს - ეს ხომ ჩვენი პატივისცემაა, ჩემს ქვეყანას რომ ღირსეულად მიიღებენ, მეც ხომ ამ ქვეყნის ნაწილი ვარ, როგორც ერთ-ერთი მოქალაქე. ეს ხომ მეც მეხება, ხომ ისევე მაფასებენ მე, როგორც ჩემი ქვეყნის მთავრობას, ესაა მთავარი!

ომის შიში არ უნდა გვქონდეს, მაგრამ უნდა ვიყოთ ფხიზლად, სიფხიზლე საჭიროა, დაკვირვება საჭიროა, შეიძლება რაღაც ისე შემოგვაპარონ, რომ ვერც გაიგო, რადგან არც გარე და არც შიდა მტრები გვაკლია, გვაქვს დაძაბული ურთიერთობა რუსეთთან, რაც ოდესმე პირდაპირ დიალოგში უნდა გადავიდეს და ამას ვერავინ უარყოფს! გვაქვს გაცხადებული პოლიტიკა - ჩვენი რეგიონების მშვიდობიანად დაბრუნება. ეს კი ავტომატურად ნიშნავს, რომ შეტევაზე არასდროს გადავალთ. ჩვენი თავდაცვის სისტემა უნდა იყოს ძლიერი, მაგრამ თავდაცვის ძალები უნდა გვყავდეს თავდაცვისთვის და არა თავდასხმისთვის. როგორც ჩვენ დავალაგებთ ურთიერთობებს, საპირისპირო მხარეც ისევე გვიპასუხებს, ამის მჯერა.

- დავით კეზერაშვილთან სამდღიანი ვიზიტის შემდეგ ოპოზიცია ლარნაკადან დაბრუნდა, რის შემდეგაც ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ „დიდ კოალიციას“ ქმნის, თუმცა, „ბოროტი ენები“ ამბობენ, რომ ხაბეიშვილს მალე გვარამია ჩაანაცვლებს...

- გვარამიას გათავისუფლების შემდეგ, ის გახდა მედიატორი საქართველოსა და ქვეყნის მიმართ მტრულად განწყობილ არასამთავრობოების ქსელს შორის, რადგან ქვეყნიდან კელი დეგნანის გასვლის შემდეგ გაჩნდა პრობლემა, თუ ვისკენ გადაინაცვლებდა დიდი თანხების გადანაწილების ცენტრი საქართველოში. **ხაბეიშვილს ფულს ვინ ანდობდა! სააკაშვილი ციხეშია, არც კეზერაშვილს ენდობიან, რადგან მას, ადრე თუ გვიან, შეიძლება დააპლოს ევროპამ ხელი და დააპატიმროს.** როცა აღარ დასჭირდებათ, იმ დღესვე დააპატიმრებენ. ამიტომაც „იჩალიჩეს“, რომ როგორმე გვარამია გამოეყვანათ ციხიდან. ეს დასკვნა გავაკეთე, რომ გვარამია იქნება ცენტრი, რომელთანაც თანხები წამოვა, თუმცა, გვარამია ის ტიპია, რომელიც ხაბეიშვილს არასოდეს აღიარებს, მით უმეტეს, რომ მან მელიას ფიგურის შექმნაში „სისხლი ჩააქცია“ და რაც მელიას დამართეს, მის პატივმოყვარეობასაც შეეხო.

აქვე არ დაგვავიწყდეს ბოკერია და მისი ცოლი, რომლებსაც საკმაოდ დიდი კავშირები აქვთ და აღიარებული არიან ლიბერალურ წრეში. მათი ვითომდა დაპირისპირებაც სააკაშვილთან, აბსოლუტური სიყალბეა, რადგან იმედი აქვთ, რომ თუ „ანტინაცი“ ხარ, ეს პლუსად გეთვლება და მეტს მოიგებ. „ანტინაცი“ თუ ხარ, „ნაცი“ არა ხარ! სწორედ ეს კატეგორიაა საშიში - „ლეღო“ და ამდაგვარები, რომლებიც ვითომ „არ ნაცობენ“, ვითომ სააკაშვილს არ იღებენ, რეალურად კი სწორედ ისინი ამარაგებენ არასამთავრობოთა ქსელს ძალიან დიდი თანხებით, რათა ჩვენი ქვეყანა აყირავდეს. ეს არის კატეგორია, რომელიც ადგილს იბევებს იმ სივრცეში, სადაც ვითომ „ოცნებას“ ებრძვიან.

ლევან ხაბეიშვილმა კი ამასობაში ევროპა ნახა, ლარნაკა ნახა, ჩაიცვა, დაიხურა... ვინ იცის, ამას ოდესმე ეღირსებოდა? მისი პათოსი და თავდადებაც მესმის კეზერაშვილის მიმართ, რადგან მან მართლა ბევრი გაუკეთა ფინანსური თვალსაზრისით თუ ოფიციალური სტატუსით ხაბეიშვილს - შექმნა და დადო, ფაქტობრივად!

- მიშას ხაბეიშვილი რაში უნდა სჭირდებოდეს?

- სოფოები რაში სჭირდება? ამდენი ქალი რაში სჭირდება? მიშა, ზოგადად, ამოვარდნილია რეალობიდან. მიშას ხომ ჰგონია, რომ სამყარო მის გარშემო ტრიალებს. ის ცხოვრობს ირეალურ სამყაროში, სადღაც თვითონ არის პრეზიდენტიც და პრემიერ-მინისტრიც. ზუსტად ეს არის საშიში, რომ ყველა ჩარჩოდან არიან ამოვარდნილები. იმიტომ არ შეიძლება, მათ ოპოზიცია ერქვას. ეს არის საშიში ძალა, რომელიც, რაც მეტად სუსტდება, უფრო და უფრო საშიში ხდება.

ამაზე ამაზრზენი რა უნდა მოიგონო, ხოშტარია-ჯაფარიძემ რომ ახლა რაღაც „საიტი“ გააკეთეს! ყველა მათი ქმედება არის ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი. ალბათ, რაღაც პერიოდი ოპოზიცია არ გვეყოლება და ეს მოცემულობად უნდა მივიღოთ. ჩვენ გვყავს რადიკალური ძალები, რომელთაგანაც ხალხმა და ხელისუფლებამ თავდაცვის რეჟიმში უნდა ვიცხოვროთ, იმაზე რომ მეტი ვერ გაბედონ, რასაც ბედავენ, რადგან, მეტი რომ „გაუვიდეთ“, ქვეყანა დაიღუპება.

- სულ ცოტაც და, გავიგებთ, გახდება თუ არა ჩვენი ქვეყანა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის „ღირსი“. როგორ ფიქრობთ, ამჟერად მაინც მივიღებთ სტატუსს? ან რას შეცვლის ეს ქართულ რეალობაში?

- იყო ევროკავშირის წევრი, რა თქმა უნდა, ცუდი არ არის, მაგრამ თუ არ იქნები, ვერც ამაში ვხედავ პრობლემას. შეიძლება წევრი არ იყო, მაგრამ ისეთი რატიფიცირებული ურთიერთობები გქონდეს ქვეყნებთან, როგორიცაა მაგალითად, უვიზო მიმოსვლა, თავისუფალი ვაჭრობა, გაღრმავებული ეკონომიკური ურთიერთობები. ჩემი ქვეყნისთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი არ იქნება დაცულობის გარანტი და ვერც ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას წაადგება. გარკვეული დროის შემდეგ, გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ, ან გახდები „ღირსი“ კავშირის წევრობის, ან - არა! როგორ ფიქრობთ, სურვილი რომ ჰქონოდათ, უკრაინას არ გააწევრიანებდნენ ტაშის კვრით, ჩქარა-ჩქარა? მაგრამ რაღაც დონეზე მიიყვანეს და გაყინეს და, ალბათ, ასეც დარჩება.

თუმცა, არის ერთი მომენტი. ევროპა მხოლოდ ჩვენ არ გვჭირდება - მასაც ვჭირდებით, რადგან სტრატეგიული ქვეყანა ვართ, განსაკუთერებით ამ ომების ფონზე. აქამდე ჩვენთვის იყო მხოლოდ ევროპა და ამერიკა, დანარჩენი ქვეყნები თითქოს არც არსებობდა და ახლა აღმოჩნდა, რომ არის ჩინეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, უნგრეთი და სხვა ქვეყნები, რომლებიც დაინტერესებული არიან საქართველოსთან პარტნიორობით და სტრატეგიული ურთიერობით. ანუ, ჩვენ არა ვართ დამოკიდებული მხოლოდ ორ ელემენტზე, რომლებმაც ნებისმიერ დროს შეიძლება დაგვაღალატონ. ევროპისა და ამერიკის გარკვეული ჯგუფების დამოკიდებულება ჩემთვის შოკისმომგვრელია, რომლებიც დღემდე სააკაშვილს მფარველობენ, კრიმინალის გათავისუფლებას მთხოვენ და ჩემი ქვეყნის მისამართით საშინელ განცხადებებს აკეთებენ. ჩემი ქვეყნის უპირველეს, უმაგრეს ქველმოქმედს, ადამიანს, რომელმაც ქვეყანა ტირანიული ავტოკრატიისგან იხსნა, კრიმინალად მიცხადებენ. როგორ უნდა მივიღო ასეთი ევროპა და ამერიკა? ამიტომაც ვარ მათ მიმართ სკეპტიკურად განწყობილი.

ჩემთვის მთავარია, რომ მყავს ხელისუფლება, რომელიც მე ავირჩიე, ქვეყნის დიდ უმრავლესობასთან ერთად. რომლის გადაწყვეტილებებიც მომწონს, რადგან ჩემს დაკვეთას ასრულებს. დღეს ომი არა გვაქვს ქვეყანაში, ქვეყანა განვითარების გზაზეა, ქალაქები ლამაზდება, ქუჩაში გავლა გსიამოვნებს... თუნდაც ერთი პატარა აყირავების მცდელობა ამ ყველაფერს შეაჩერებს და შემდეგ უკვე თითოეული ჩვენგანი ვიქნებით დამნაშავე, თუ ამას ხელს არ შევუშლით. აქამდე არასდროს ყოფილა, რომ მთავრობა და მმართველი გუნდი ხალხის გვერდით მდგარიყო. ყოველთვის პირიქით იყო. ახლა კი, მთავრობას უწევს უდიდესი წინააღმდეგობის დაძლევა იმისათვის, რომ ხალხის დაკვეთა - მშვიდობა შეასრულოს.

ნონა ქარქაშაძე

წააგეთ, ქალბატონო სალომე, წააგეთ!

საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის მიერ კონსტიტუციის დარღვევა დაადგინა. პრეზიდენტის იმპიჩმენტის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს პარლამენტის 80-მა წევრმა მიმართა. კონსტიტუციური წარდგინების არსებითი განხილვა, ზეპირი მოსმენით 3 ოქტომბერს დაიწყო და 5 ოქტომბერს დასრულდა.

საკონსტიტუციო სასამართლოში პრეზიდენტის წარმომადგენლები იყვნენ თამარ ჩუგოშვილი და მაია კოპალეიშვილი.

აღნიშნულ გადაწყვეტილებას, პლენუმის ცხრა წევრიდან მხარი არ დაუჭირა სამმა მოსამართლემ: ირინა იმერლიშვილმა, გიორგი კვერენჩხილაძემ და თეიმურაზ ტუღუშმა. პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევა დაადასტურეს მოსამართლეებმა: მერაბ ტურავამ, ევა გოცირიძემ, გიორგი თევდორაშვილმა, ხვიჩა კიკილაშვილმა, მანანა კობახიძემ და ვასილ როინიშვილმა.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, საკითხი პარლამენტში გადაინაცვლებს, სადაც პრეზიდენტის იმპიჩმენტისთვის 100 დეპუტატის ხმა არის საჭირო.

თამარ ჩიბურდანიძე, მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრი: ველოდი საკონსტიტუციო სასამართლოს ასეთ გადაწყვეტილებას, უპირველესად, იქიდან გამომდინარე, რომ თავად პრეზიდენტის წარმომადგენლებმა კოპალეიშვილმა და ჩუგოშვილმა, თავიანთი გამოსვლით, თავიანთი ე.წ. ლოგიკით და მსჯელობით დაადანაშაულეს სალომე ზურაბიშვილი კონსტიტუციის დარღვევაში. ეს იყო ყველაზე დიდი კურიოზი, ალბათ, თავად პრეზიდენტისთვისაც. მათ თქვეს, რომ პრეზიდენტი იყო ოფიციალური ვიზიტით წასული და მას უნდა მიემართა მთავრობისთვის. თუკი მთავრობისთვის უნდა მიემართა და ამის ვალდებულება ჰქონდა, მაშინ ჰქონდა იმის ვალდებულებაც, რომ მთავრობის გადაწყვეტილება აღესრულებინა. ბრალდების მხარე კი ძალიან მაღალ დონეზე წარსდგა და ვერ შეძლეს ოპონენტებმა მათი დაჩაგვრა. თუმცა, ფაქტები იმდენად ღია და ყველაფრისმთქმელი იყო ყველასთვის, რიგითი მოქალაქისთვისაც კი, იმის მტკიცება, რომ თითქოს პრეზიდენტს კონსტიტუცია არ დაურღვევია, დაცვის მხარისთვის აბსოლუტურად შეუძლებელი გახდა. მე მართლა მაინტერესებს იმ სამი მოსამართლის გადაწყვეტილების მოტივი, რომლებმაც იმპიჩმენტის პროცედურას მხარი არ დაუჭირეს, მაინტერესებს მათი ახსნა-განმარტება, რატომ არ დაუჭირეს მხარი?! არ იყო კონსტიტუციის დარღვევა თუ მათ გადაწყვეტილებაში იყო თავად პოლიტიკური მიზნები? თუკი საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე გადაწყვეტილებას იღებს არა სამართლებრივი კუთხით, არამედ, პოლიტიკური სარჩულით, მაშინ მას იქ რა უნდა? მაშინ ის თავად არღვევს კონსტიტუციას. მას არავინ ეკითხება ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას და არც იმას ეკითხებიან, საქართველოს შეუშლის თუ არა ხელს პრეზიდენტის იმპიჩმენტი სტატუსის მონიჭების პროცესში. ვეთანხმები მოსაზრებას, რომ, თუკი პრეზიდენტს აქვს თავმოყვარეობა, უნდა დაწეროს განცხადება და დატოვოს თანამდებობა, თუმცა, მისი გამოსვლის შემდეგ დავრწმუნდით, რომ ის ამას არ გააკეთებს. უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს, ეყოფა თუ არა პარლამენტში ხმები მის იმპიჩმენტს. მთავარია, მსოფლიომ გაიგო, რომ პრეზიდენტმა, რომელიც უნდა იყოს კონსტიტუციის დაცვის გარანტი, თავად დაარღვია კონსტიტუცია. პირველად ვნახე, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი ფუნქცია შეასრულა, არ მოერიდა პრეზიდენტის ინსტიტუტსაც კი, არ მოერიდა პოლიტიკურად დაძაბულ სიტუაციას, თუნდაც საგარეო პოლიტიკაში და უპირობოდ დაიცვა საქართველოს კონსტიტუცია.

იოსებ ჯუმბურიძე, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ექსპერტ-კონსულტანტი, პროფესორი: პრეზიდენტი, რომელიც თავად უნდა იყოს კონტიტუციის დაცვის გარანტი, მთავრობის ნებას არ ემორჩილება, არღვევს კონსტიტუციას და ამბობს, „როცა მომინდება, მაშინ წავალ, სადაც მომინდება, - იქ წავალ“! აქ გვახსენდება მისი ერთი უხერხული ფრაზა: „სადაც არ უნდა გათხარო, ყველგან შეიძლება გათხარო“... და უკვე ძალიან კომიკურია ეს ყველაფერი.

საკონსტიტუციო სასამართლომ დღეს დაადასტურა, რომ ორჯერ ორი არის ოთხი. ტრაგიკულია ის ფაქტი, რომ სამდღიან პროცესზე საწინააღმდეგოს ამტკიცებდა პარლამენტის ყოფილი ვიცე-სპიკერი თამარ ჩუგოშვილი და, რაც მთავარია, - თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი. დიახ, სამწუხაროდ, ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში სწორედ ასეთები დატოვეს მაშინ, როცა იქიდან ყველაზე ღირსეული მეცნიერები დაითხოვეს. ასეთებით არის სავსე არა მხოლოდ ჯავახიშვილის უნივერსიტეტი, არამედ სხვა უმაღლესი სასწავლებლებიც. ეს უფრო დიდი ტრაგედიაა. რაღა უნდა ვთქვათ. მათთვის, ორჯერ ორი ყოველთვის ხუთი იყო...



ზაალ ანჯაფარიძე, ანალიტიკოსი: ზუსტად იმ მოსამართლეებმა არ დაუჭირეს მხარი ვერდიქტს, ვისზეც ვფიქრობდი და ამის გამოცნობა არცთუ რთული იყო, მათ ბიოგრაფიებში პოლიტიკური თუ სხვა აფილიაციის ზიგზაგებიდან გამომდინარე. თუმცა ეს უკვე დეტალებია.

მთავარი შედეგია, რომელიც გახლავთ პრეცედენტული და ამას ექნება თავისი შესაბამისი ადგილი ჩვენი სახელმწიფოს ისტორიაში. საკონსტიტუციო სასამართლომ დაიცვა ქვეყნის ძირითადი კანონი და ის არ შეეწირა მსხვერპლად პოლიტკონიუნქტურას. ამას ისწავლიან მომავალი თაობები. წააგეთ, ქალბატონო სალომე, და შეიძლება ბოლომდე ვერც აცნობიერებთ - თუ როგორ!

ზურაბ ქადაგიძე, მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრი: ძალიან სწორი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა!

ერთი - როგორც სახელმწიფოებრივად აუცილებელი, რადგან არავინ დგას კონსტიტუციაზე მაღლა და ნებისმიერი თვითშემოქმედება, სახელმწიფოს უზენაესი კანონის წინააღმდეგ, აუცილებლად ასე უნდა შეფასდეს! და მეორე - პოლიტიკური - უმრავლესობის მიერ მხარდაჭერილი ზურაბიშვილი, რომელმაც „ქართული ოცნების“ ელექტორატი გამოიყენა საარჩევნოდ, შემდეგ კი, პირველივე შემთხვევის დროს უგულებელყო საკუთარი ამომრჩველის ნება და მეტიც, საკუთარი ვიწრო მერკანტილური მისწრაფებების გამო, კონსტიტუციაც კი დაარღვია, სამაგალითოდაა დასასჯელი, რადგან სხვა ნებისმიერი თანამდებობის პირმა ვერ გაბედოს საქართველოს უმაღლესი კანონის უგულებელყოფა და უფლებამოსილების საკუთარი მიზანშეწონილობით გამოყენება.

ძალიან მართებულად მოიქცა „ქართული ოცნება“, როცა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა, ხოლო ახლა, პარლამენტი გამოუცხადებს თუ არა იმპიჩმენტს სალომე ზურაბიშვილს - მეორეხარისხოვანია, რადგან საკონსტიტუციო სასამართლომ მოახდინა ფაქტის კონსტატირება, რომ პრეზიდენტმა დაარღვია კონსტიტუცია!

სასჯელად კი ზურაბიშვილს ისიც ეყოფა, თავი ყველაზე მაღალი რომ ეგონა და ახლა ყველაზე უპერსპექტივო, „ჩამოლაბორანტებული“ პოლიტიკოსი გახდა. ამ ყველაფრის შემდეგ თავმოყვარე ადამიანი გადადგებოდა, თუმცა სად სალომე და სად - თავმოყვარეობა?!

ალი ბაბაევი, საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე: პრეზიდენტის ვალდებულება იყო, დაეცვა კონსტიტუცია, გაეთვალისწინებინა ის დირექტივები, რაც მის უფლებამოვალეობებში შედიოდა, მომსახურებოდა ქართული სახელმწიფოს ინტერესებს, პატივი ეცა ამომრჩევლის ნებისთვის და გაემართლებინა მათი ნდობა, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო. სამწუხაროდ, ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა დაარღვია ყველანაირი ზნეობრივი და მორალური წესი, თავისი პრეზიდენტობის პერიოდში თუნდაც იმის გამო, რომ შეიწყალა ის ადამიანები, რომლებიც ამას არ იმსახურებდნენ, ბევრი ისეთი ადამიანი, რომელსაც სახლში სამი-ოთხი შვილი ელოდება და მსუბუქი დანაშაულისთვის იხდის სასჯელს, პატიმრობაში დატოვა. ისე ატრიალებს ეს ქალბატონი პრეზიდენტის პორტფელს, როგორც მოეხასიათება. თავისი ამპარტავნებით და ვითომ პრინციპულობით ქვეყანას აზარალებს, მუდმივად ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ მიდის. რა თქმა უნდა, ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მართებულ გადაწყვეტილებას მიიღებდა. ახლა კი უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს, შეაგროვებენ თუ არა პარლამენტში იმპიჩმეტისთვის საჭირო ხმათა რაოდენობას. ნუ მიიღებს ოპოზიცია კენჭისყრაში მონაწილეობას, ისინი ხომ არც ამ კონსტიტუციის მიღებაში მონაწილეობდნენ! ჩემი პირადი აზრია, რომ თუ პრეზიდენტს კიდევ აქვს თავმოყვარეობა და გრძნობს ქვეყნის წინაშე სულ მცირე ვალდებულებას მაინც, დაწეროს განცხადება და დატოვოს პრეზიდენტის პოსტი. ეს იქნება მისი ერთადერთი ღირსეული გადაწყვეტილება, თუმცა, ის ამას არ გააკეთებს.

„ჰამასი“ მშვიდობიან პალესტინელებს ფარად გამოიყენებს, რომ მსხვერპლი დიდი იყოს და ისრაელზე საერთაშორისო ზეწოლა გაძლიერდეს

დიდი ცვლილებების შედეგად, მსოფლიოში დიდი თამაში და გადალაგება მიმდინარეობს. მოიშალა სისტემა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს იქნა ჩამოყალიბებული, იმსხვრევა ამერიკის ჰეგემონია და ამ პერიოდში, ყველაზე მნიშვნელოვანია ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნება. ამის შესახებ სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის ხელმძღვანელმა ლევან მამალაძემ „საერთო გაზეთთან“ საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, ისრაელში განვითარებული მოვლენები გავლენას მოახდენს უკრაინაზე, რამაც შეიძლება, უკრაინელი ხალხი სერიოზულად დააზარალოს:

- ძალიან დიდი ტრაგედია ტრიალებს, დიდი სისხლისღვრა და უბედურება, მაგრამ თუკი მთლიანობაში შევხედავთ, ახალი არაფერი მომხდარა. ეს პროცესი სათავეს იღებს ისტორიულად რამდენიმე ათასლეულის წინათ, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც მოსემ ჩამოიყვანა ეგვიპტიდან ებრაელები და დაასახლა ღმერთისგან ბოძებულ ქანაანის მიწაზე, სადაც სხვა ხალხი ცხოვრობდა. საუკუნეების შემდეგ, მე-19 საუკუნიდან, დაიწყო ებრაელების მასობრივი განსახლება და სიონისტური მოძრაობის პროცესი, ანუ ალიას გამოცხადება - ებრაელების დაბრუნება ისრაელის მიწაზე. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ეტაპობრივად დაიწყო ეს მოძრაობა და უფრო ფართომასშტაბიანი სახე უკვე მე-20 საუკუნის დასაწყისში მიიღო, როდესაც, პირველი მსოფლიო ომის შედეგად, ახლო აღმოსავლეთი ორ - ფრანგულ და ბრიტანულ მისიად გაიყო. ფრანგულ ნაწილში მოხვდა სირია-ლიბანი, სამხრეთ, ინგლისურ ნაწილში მოხვდნენ იორდანია და ეგვიპტე. პალესტინა მაშინ მხოლოდ გეოგრაფიული დასახელება იყო, სადაც არაბულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობდა და იქ არანაირი სახელმწიფოებრივი ნიშნები არ არსებობდა.

ისრაელში გადასახლების დიდი პროცესი დაიწყო მეორე მსოფლიო ომის დროს, რასაც განსაკუთრებით ხელს უწყობდა სტალინი. სტალინს უნდა უმადლოდნენ ებრაელები სახელმწიფოს შექმნას. იალტის კონფერენციაზე, როცა ჩერჩილი, რუზველტი და სტალინი მოლაპარაკების მაგიდასთან ისხდნენ და მსოფლიოს ინაწილებდნენ, მიიღეს ისრაელის სახელმწიფოს შექმნის გადაწყვეტილება. ჰოლოკოსტის შედეგად, მაშინდელი საბჭოთა კავშირის და ევროპის ტერიტორიაზე ლტოლვილთა ისეთი ნაკადი წარმოიშვა, რომ სტალინსაც და ევროპასაც ხელს აძლევდა, ებრაელთა გადასახლების პროცესი დაჩქარებულიყო. 1947 წელს, როცა ბრიტანეთის მანდატი დასრულდა, გაერო ახალი შექმნილი იყო და იქ გადაწყვიტეს, რომ ამ ტერიტორიაზე ორი სახელმწიფო ჩამოყალიბებინათ - ისრაელი და პალესტინა. არაბებსაც და ებრაელებსაც თავიანთი სახელმწიფო ჰქონდათ, საზღვრებიც კი გაავლეს, მაგრამ როგორც კი ისრაელმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ამის აღიარება არაბულმა ქვეყნებმა არ მოინდომეს. დაიწყეს ომი სირიამ, ლიბანმა, ტრანს-იორდანიამ და ერაყმა მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაწილი დაიკავეს. ეგვიპტემ სამხრეთი ნაწილი დაიკავა და მისი ტანკები თელ-ავივიდან 35 კილომეტრში განთავსდა.

ამ არაბულმა სახელმწიფოებმა დაუშვეს ძირეული შეცდომები. მეოცე საუკუნის 60-იან წლებში ისრაელმა სინას ტერიტორია დაიკავა, კაიროშიც შევიდოდა , მაგრამ საბჭოთა კავშირმა გააჩერა. ბოლო პერიოდისთვის ისრაელმა აღიარა პალესტინის ავტონომია, მაგრამ მათ დაიწყეს ბრძოლა დამოუკიდებლობის მისაღებად. იასერ არაფატმა ბევრი შეძლო პალესტინის უფლებების მოსაპოვებლად. ახლა ამ მოძრაობას მაჰმუდ აზიზი ხელმძღვანელობს, მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაწილში...

პალესტინელი არაბები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ღაზაში სუნიტები ცხოვრობენ, ჩრდილოეთ დასავლეთში კი - შიიტები, სადაც უფრო ირანის გავლენა სჭარბობს. თავის დროზე ისრაელმა შეუწყო ხელი, რომ პალესტინელ არაბებში ბზარი გაეღრმავებინა და ღაზას სექტორში „ჰამასის“ შექმნაში დაეხმარა. შემდგომ ეს ორგანიზაცია ისრაელის საწინააღმდეგო ტერორისტულ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა.

ბოლო პერიოდში ახლო აღმოსავლეთში თითქოს სიწყნარე იყო. აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, ჯეიკ სალივანი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ბაიდენის ადმინისტრაციამ მიაღწია იმას, რომ ისრაელში მშვიდობამ დაისადგურა. თუმცა, ხომ ხედავთ, აბსოლუტურად საპირისპირო რამ მოხდა. **საკმაოდ უცნაური და წარმოუდგენელია, რომ მოსადს, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდი სადაზვერვო სამსახურია თავისი სპეციფიკითა და სიძლიერით, არ ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ღაზაში ათასობით ადამიანი ემზადებოდა ისრაელზე თავდასხმისთვის.** თუმცა ახლა ამაზე მსჯელობის დრო არ არის, ყველაფერი გაირკვევა, როგორც კი ეს პროცესები დასრულდება. ებრაელი ხალხი არ აპატიებს ხელისუფლებას, ეს საშიშროება რომ გამოეპარათ და ამაზე პასუხის გაცემა ნეთანიაჰუს და მის მმართველობას მოუწევთ. ჩემი ვარაუდით, ამ დიდი გადალაგებისა და დიდი თამაშის ფონზე, რაც ახლა მსოფლიოში მიმდინარეობს, ისრაელი ღაზაში სამხედრო ოპერაციას ჩაატარებს, რომლის ლეგიტიმურ საფუძველსაც „ჰამასის“ ტერორისტული თავდასხმა და მშვიდობიანი მოქალაქეების დიდი მსხვერპლი აძლევს. უნდა ითქვას, რომ ღაზა არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ტერიტორია. წარმოიდგინეთ, თბილისში, მხოლოდ ვაკე-საბურთალოს რაიონში 2 მილიონი ადამიანი რომ ცხოვრობდეს, დაახლოებით ასეთი მდგომარეობაა, თან ძალიან მძიმე პირობებში ცხოვრობს ხალხი. „ჰამასის“ გვირაბების მიგნებაც საკმაოდ რთული პროცესია, მათ აქვთ გვირაბების ქსელი გაყვანილი მთელ ტერიტორიაზე, საკმაოდ მომზადებულები არიან, აქვთ შეიარაღება, აქვთ კუსტარულად დამზადებული რაკეტები, რომლებსაც მომენტალურად ამზადებენ და ისეთი რაოდენობით ისვრიან, რომ ამას ისრაელის ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები ვერ აჩერებს. ასევე, სახმელეთო ოპერაციის დროს საკმაოდ რთულია ქუჩებში საბრძოლო პროცესის წარმართვა, რადგან ერთმა პალესტინურმა ყუმბარამ შეიძლება მილიონობით ღირებულების საბრძოლო ტექნიკა გამოიყვანოს მწყობრიდან. თან **„ჰამასი“ მშვიდობიან პალესტინელებს ფარად გამოიყენებს, რომ მსხვერპლი დიდი იყო და ისრაელზე საერთაშორისო ზეწოლა გაძლიერდეს.** თუმცა ისრაელი ყველაფერს გააკეთებს და როგორც ნეთანიაჰუმ განაცხადა „ამ ტერორისტულ ბუდეს ბოლოს მოუღებს“, მაგრამ თუკი ისრაელმა სახმელეთო ოპერაციის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში პროცესი არ დაასრულა, ეს გამოიწვევს უკურეაქციას, დაიხოცება ძალიან ბევრი ადამიანი. შედეგად, ისრაელის მხარდაჭერა ბევრ ქვეყანას გაუჭირდება და წინააღმდეგობა გაიზრდება. ამან შეიძლება გამოიწვიოს არაბული ქვეყნების ჩართვა, ირანის გააქტიურება და უფრო ფართო მასშტაბის ომი. უნდა ითქვას, რომ ამ პროცესს უკვე აქვს ზეგავლენა უკრაინაში მიმდინარე ომზე და თუ დროულად არ დასრულდება, უკრაინას თავდაცვის პრობლემები შეექმნება.

- კონკრეტულად რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ამ ორ ომს ერთმანეთთან?

- ეს ორი ომი ერთმანეთს ბუნებრივად უკავშირდება. უკრაინა ზელენსკის ადმინისტრაციამ ისეთ ქვეყანად ჩამოაყალიბა, რომელიც უკვე მთლიანად დამოკიდებულია იმ ფინანსურ, ტექნიკურ თუ სამხედრო დახმარებაზე, რასაც მას დასავლეთი აღმოუჩენს და როგორც კი დახმარება შეუმცირდება, თავდაცვის პრობლემებიც შეექმნება. უკრაინის სახელმწიფო სრულიად დაუცველი დარჩება იმ პოლიტიკის შედეგად, რაც ზელენსკიმ გაატარა, ფაქტობრივად, ქვეყანას სუვერენიტეტი დაუკარგა და მთლიანად დამოკიდებული გახადა დასავლეთზე. ზოგი ამბობს, მერე რა, რომ ხალხი იხოცება, სამაგიეროდ, **არმია ჰყავს ძლიერი უკრაინასო, მაგრამ ამ ძლიერებისგან აღარაფერი დარჩება, როგორც კი დახმარებას შეუწყვეტენ. ვხედავთ, რომ ამერიკა ისრაელის დახმარებაზე გადაერთო, 24-მილიარდიანი შეპირებული დახმარება 200 მილიონზე დაიყვანეს, აღარც სამხედრო ტექნიკას აწვდიან იმ რაოდენობით,** რუსეთის წინააღმდეგ კონტრშეტევა კი არა, თუნდაც თავის დაცვა რომ შეძლონ.

ამიტომ, თუ სამხედრო ოპერაციის პერიოდი გახანგრძლივდა ისრაელში, ეს ვითარება კიდევ უფრო ცუდ დღეში ჩააგდებს უკრაინას. გამორიცხული არ არის, რომ ამით ირანმა ისარგებლოს და გააქტიურდეს ახლო აღმოსავლეთთან მიმართებაში. ასევე, თუ სამხედრო ექსპერტების პროგნოზებს დავეყრდნობით, ზამთრის დადგომასთან ერთად გააქტიურდება რუსეთიც და გადავა შეტევაზე. არ არის გამორიცხული, რომ დაძაბულობა ვიხილოთ ყვითელი ზღვის მიდამოებში ტაივანთან დაკავშირებით, ჩინეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. დაპირისპირება მოსალოდნელია ორ კორეას შორისაც...

მოიშალა სისტემა, რომელიც

საკმაოდ უცნაური და წარმოუდგენელია, რომ მოსადს, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდი სადაზვერვო სამსახურია თავისი სპეციფიკითა და სიძლიერით, არ ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ღაზაში ათასობით ადამიანი ემზადებოდა ისრაელზე თავდასხმისთვის.

მეორე მსოფლიო ომის დროს ჩამოყალიბდა სამი ქვეყნის მეთაურის მიერ. **აშშ-ის ჰეგემონია უკვე იმსხვრევა, დოლარი მსოფლიო ვალუტის სტატუსს კარგავს.** დიდი ცვლილებები და დიდი გადანაწილება მიმდინარეობს, როგორც ტერიტორიული ასევე - ეკონომიკური. არა მგონია, რომ ისრაელის სამხედრო ოპერაციის დასრულების შემდეგ ეს ყველაფერი დამთავრდება, მე ვფიქრობ, რომ პირიქით, წინ არანაკლებ რთული პროცესები გველის.

- ცოტა ხნის წინ გაირკვა, რომ ოპოზიცია სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდა და მაიდანს გვიმზადებდა, შედეგად, არც ჩვენი ქვეყანა აღმოჩნდებოდა ნაკლებ დღეში. ვფიქრობ, ისრაელში განვითარებულმა მოვლენებმა მათი გეგმები ჩააგდო და ისე აქტიურადაც ვეღარ ემზადებიან „ქვეყნის ასაყირავებლად“...

- უახლოეს პერიოდში რა მოვლენებიც განვითარდა, ამის საფუძველზე თუ ვიმსჯელებთ, ჩვენს ქვეყანაში წამოვა დევნილთა ნაკადი ისრაელიდან. როგორც ამბობენ, უკვე შემოვიდა რამდენიმე ათასი ადამიანი. ეს ის ხალხია, რომლებიც წარმოშობით არიან საქართველოდან. საქართველოს ეს მისია გააჩნია, განსაკუთრებით ებრალებთან მიმართებაში და ამ ადამიანებს ხელი უნდა შევუწყოთ. ისტორიულად, საქართველო ყოველთვის ისრაელის მხარდამჭერი იყო და ასეც გრძელდება. ისრაელის მხარდამჭერი პოზიცია ჩვენმა ხელისუფლებამ დააფიქსირა და ეს მიმართულება უნდა განვაგრძოთ.

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, ვერ დაგეთანხმებით, რომ, როგორც თქვით, მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა შეასუსტა მეხუთე კოლონის მოქმედება. აშშ-ისა და დასავლეთის გარკვეულ ჯგუფებს გამოყოფილი აქვთ საკმაოდ დიდი თანხა იმისათვის, რომ საქართველოში რევოლუციური სცენარი განხორციელდეს. პროცესი დაწყებულია, თანხა შემოდის, დაფინანსება დიდია... თქვენ ოპოზიცია ახსენეთ, მაგრამ ოპოზიცია საქართველოს არ ჰყავს. ეს არის მეხუთე კოლონა, ანუ საზოგადოებრივი, არასამთავრობო და პოლიტიკური დაჯგუფება, მათ შორის, მედიასაშუალებები, რომლებიც საზღვარგარეთიდან ფინანსდებიან და მათ დავალებას ასრულებენ. ოპოზიცია კი ნიშნავს ქვეყნისთვის და ხალხისთვის პრობლემების მოგვარების ალტერნატივას და ჩვენ, სამწუხაროდ, ასეთი ფუფუნება არ გვაქვს. ეს მეხუთე კოლონა ახლა თანხის ათვისების პროცესშია და პირველი ტალღა, რომელიც ახლოვდება, ქვეყნის ევროკავშირის წევრობის კანდიდატად მიღება-არმიღების საკითხია. ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება მათ არ არ აწყობთ, რადგან ეს იქნება „ქართული ოცნების“ კიდევ ერთი პლუსი და ამის დაშვება არ უნდათ. ჩვენ რომ ნორმალური და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ოპოზიცია გვყოლოდა, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, იბრძოლებდნენ ევროინტეგრაციისთვის და კანდიდატის სტატუსის მოპოვების თანამონაწილე გახდებოდნენ. ესენი კი ცდილობენ, რომ სტატუსი ვერ მივიღოთ და ეს გამოიყენონ საქართველოში რევოლუციური პროცესების გასაღვივებლად. ბევრი ამბობს, რომ ამას ქართული საზოგადოება არ დაუშვებს. თუმცა, როგორც პოლიტიკური ტექნოლოგიების სპეციალისტი, გეტყვით, რომ სოციალური ფსიქოლოგია და სოციუმის მართვა იძლევა იმის საშუალებას, რომ ადამიანებს ის გააკეთებინო, რაც განსაზღვრული გაქვს. მით უმეტეს, თუ დიდი თანხები, ორგანიზებული ჯგუფები და მედიასტრუქტურები გაგაჩნია, ნებისმიერ რამეს მოახდენ, მით უფრო, პატარა ქვეყანაში. ერთადერთი, რამაც შეიძლება ეს ყველაფერი შეაჩეროს, ისაა, რომ ხალხის „მოქოქვა“, ხალხის გამოყვანა გაუჭირდებათ. ამაში უკვე საკმაოდ დიდი ფულის დახარჯვა მოუწევთ, რადგან ხიბლი დასავლეთთან დაკავშირებით მეხუთე კოლონამ და თვითონ დასავლეთმა უკვე ისე გააუბრალოვა, ისე გააღარიბა, რომ თუ აქამდე ევროპა აღიქმებოდა კეთილდღეობის, დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა დაცვის სიმბოლოდ და ნორმალური ცხოვრების სტანდარტად, დღეს უკვე სჭარბობს აზრი, რომ ეს არის გარყვნილების, მოტყუების, „გადაგდების“ და უსამართლობის ბუდე, ამიტომ ადამიანებზე მანიპულირება შედარებით გართულებულია. რაც ყველაზე მთავარია, საქართველოში რევოლუცია და გადატრიალება გადის ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის დაკარგვის ზღვარზე. წარმოიდგინეთ, რას მოიმოქმედებს ოკუპანტი ქვეყანა რუსეთი, რომელსაც ჩვენი ტერიტორიების 20 პროცენტი აქვს მიტაცებული და საჯარისო ნაწილები ჰყავს განლაგებული საქართველოს მიწებზე, როცა დაინახავს, რომ „ომის პარტია“ გადატრიალების გზით მოდის! რუსეთი თვითონ შექმნის იმის საფუძველს, რომ თბილისში ტანკები შემოიყვანოს. სამხრეთის ფლანგზე რუსეთი მეორე ფრონტის გახსნას არ შეურიგდება და აგრესიას განახორციელებს მთელ საქართველოზე, რასაც დასავლეთის „აღშფოთება“ და სანქციები ვეღარ შეაჩერებს.

მარტის მოვლენების დროს მართლა კანონის გატანამ კი არ გააჩერა ის ადამიანები, ქუჩებში რომ მანქანებს წვავდნენ და პოლიციას ესხმოდნენ თავს, პიკზე იყო სიტუაცია, მაგრამ უკან დაიხია დასავლეთმა. შეჩერდა იქითა მხარე, რომელიც მილიონებს აგზავნის და ორგანიზებას უკეთებს ამ პროცესებს, რადგან უკვე დატრიალდა ინფორმაცია, რომ რუსეთი სამზადისს იწყებდა, საჭიროების შემთხვევაში ინტერვენცია განეხორციელებინა საქართველოზე. აშშ-მ უკან დაიხია და უცბად გააჩერეს რევოლუციური პროცესი. ეს არის რისკი დასავლეთისთვის, რადგან, თუკი რევოლუციური გადატრიალება ბოლომდე მიიყვანეს, შეიძლება მთლიანად დაკარგონ საქართველოსა და კავკასიაზე ზეგავლენა. ამისი ეშინიათ. თუმცა, დიდი სურვილი აქვთ, ზეგავლენა მოახდინონ, დაიქვემდებარონ და უფრო მორჩილი გახადონ ჩვენი ქვეყანა. „მეხუთე კოლონის“ დაფინანსებასაც ამიტომ აგრძელებენ.

- სულ ახლახან ლარნაკადან დაბრუნდა ხაბეიშვილი და მისი გუნდი. დავით კეზერაშვილთან შეხვედრის შემდეგ ახალი გეგმები და პერსპექტივები დაუსახავთ. აქ კი სააკაშვილის „მისაღები“ დახვდათ, მიშაზე შეყვარებული ქალებით სავსე...

- სააკაშვილი უკვე ჩამოწერილი პროდუქტია და აღარც მისი ჰარამხანა აკვირვებს ვინმეს. სასაცილო ის არის, ცოცხალ კაცს მუზეუმს რომ უკეთებენ და შეიძლება მალე მუმიფიცირებაც მოითხოვოს. ხომ ხვდებით, როგორ მძიმე ფსიქიკურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, მაზე პრაქტიკოსმა ფსიქიატრებმა უნდა გააკეთონ შეფასება! რაც შეეხება მათ აქეთ-იქით სიარულს, ჩვენ ხომ ვთქვით, რომ მეხუთე კოლონასთან გვაქვს საქმე. უნდათ, მეტი დაფინანსება მოიპოვონ და ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად იბრძოლონ. ერთხელაც ვერ დავინახეთ, რომ რომელიმე მათგანი გამოვიდეს და პრობლემების გადაწყვეტის კონკრეტული გზა შემოგვთავაზოს, კონკრეტული მიმართულებები უჩვენონ საზოგადოებას, მაგალითად, როგორ შეიძლება შეიქმნას მეტი სამუშაო ადგილი, გაიზარდოს ხელფასი, გაიზარდოს ქვეყნის ბიუჯეტი, რათა ჩვენმა მოქალაქეებმა მეტი შემოსავალი, მეტი კეთილდღეობა მიიღონ, შემცირდეს მიგრაცია... ამაზე კი არ არის საუბარი, მათ უნდათ, რომ ხელისუფლება ჩაიგდონ ხელში, თორემ ვის რაში აინტერესებს საქართველოს ან მისი მოქალაქეების ბედი. ამიტომაც უნდა ველოდოთ სიტუაციის გართულების ორ ტალღას: პირველი ტალღა ახლა იწყება ფაქტობრივად, როცა სტატუსის მონიჭება-არ მონიჭების საკითხი უნდა გადაწყდეს. მე მაინც ვფიქრობ, ევროპელების საღი აზრი გადაწონის, არ აყვებიან ამ თამაშებს და ამჯერად სტატუსს მოგვცენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროპა საქართველოზე გავლენას დაკარგავს და, როგორც თვითონვე აღიარებენ, საქართველო რუსეთის გავლენის ზონაში მოექცევა, რაც მათ მიერ დაშვებული შეცდომა და უკან გადაგმული ნაბიჯი იქნება...

არეულობის მეორე ტალღა დაიწყება 2024 წლის არჩევნების პერიოდში, როდესაც, შესაძლოა, პიკს მიაღწიოს ამ ყველაფერმა, თუმცა მანამდე ბევრი ცვლილება მოხდება მსოფლიოში. კარგი იქნება, თუ ჩვენი თითოეული მოქალაქე დაფიქრდება იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მშვიდობა, მისი შენარჩუნება ქვეყანაში და რა ფასი აქვს მშვიდობას! ამიტომ, **მოგვწონს თუ არა ხელისუფლება, ყველანი ვალდებულები ვართ, ერთად დავდგეთ მშვიდობის შესანარჩუნებლად.**

- საკონსტიტუციო სასამართლომ პრეზიდენტის საიმპიჩმენტო წარდგინებაზე მიღებული დასკვნის შედეგი გამოაცხადა, რის მიხედვითაც მან კონსტიტუცია დაარღვია...

- ჩვენ არა გვყავს საქართველოს ინტერესების დამცველი პრეზიდენტი. ჩვენ გვყავს რეზიდენტი, რომელიც საქართველოს ადანაშაულებს ყველაფერში, რომელიც ცდილობს, საქართველო იყოს დასავლეთის მორჩილი ქვეყანა და მისი კარნახით ვიმოქმედოთ. სახელმწიფო ინტერესების, ჩვენი იდენტობისა და ჩვენი პერსპექტივის დაცვაზე რომ არ ფიქრობს, ისეთი პრეზიდენტი გვყავს. აქამდეც უამრავი მიზეზი გვქონდა იმისა, რომ ეს ქალბატონი იმპიჩმენტის ნიჩაბზე შეგვესვა. საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნით, პრეზიდენტმა კონსტიტუცია დაარღვია და პარლამენტს აქვს ყველანაირი სამართლებრივი საფუძველი იმპიჩმენტის პროცესის დაწყებისთვის. რა სახეს მიიღებს ეს საქართველოს პარლამენტში, ცოტა ხანში დავინახავთ.

ნონა ქარქაშაძე

მოგვწონს თუ არა ხელისუფლება, ყველანი ვალდებულები ვართ, ერთად დავდგეთ მშვიდობის შესანარჩუნებლად.

№33 (725) 18.X. 2023 წ.

აუცილებელია ნეიტრალური, განწონასწორებული პოლიტიკის გატარება

გვესაუბრება უფლებადამცველი გრიგოლ გაგნიძე.

— ბატონო გრიგოლ, ახლახან საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მეუღლესთან ერთად იმყოფებოდა უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი. როგორ შეაფასებდით მის სტუმრობას?

— ყველას კარგად მოეხსენება, რომ უნგრეთი ევროკავშირისა და ნატო-ს სრულუფლებიანი წევრია. თავად პრემიერი და მისი მთავრობა კონსერვატიული შეხედულებებით გამოირჩევიან, ბევრ საკითხში ნატო-სა და ევროკავშირს არ ეთანხმებიან და საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ. ამიტომ უნგრეთის ხელისუფლებით ევროკავშირში ზოგჯერ უკმაყოფილოები არიან, რასაც ევროჩინოვნიკები ღიად აფიქსირებენ. თუმცა, ორბანი „კერკეტი კაკალია“, რომელსაც მოსახლეობამ ზედიზედ მესამედ გამოუცხადა ნდობა. ვიმეორებ, უნგრეთის დღევანდელი მთავრობა ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს და ამიტომაც უჭერს მას მხარს მოსახლეობის უმრავლესობა.

რაც შეეხება საქართველოში მის სტუმრობას, უნდა გითხრათ, რომ მნიშვნელოვანია. ვერ გეტყვით, რა ხელშეკრულებები გააფორმეს საქართველოს და უნგრეთის დელეგაციებმა, კონკრეტულად რაზე შეთანხმდნენ, მაგრამ პოლიტიკურად მაღალი რანგის აღმოჩნდა თუნდაც იმით, რომ ნატო-სა და ევროკავშირის წევრი ქვეყნის მთავრობის მეთაური სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ჩვენთან. გავიხსენოთ ორბანის ემოციური სიტყვა, რომელიც მის პატივსაცემად გამართულ სადილზე წარმოთქვა. ამის გარდა, ორბანის ვიზიტით კიდევ ერთხელ დადასტურდა საქართველოს ხელისუფლების მიერ სწორად წარმოებული საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა.

— ოპოზიციამ ორბანის მისამართით განაცხადა, რომ რუსეთის პრეზიდენტის, პუტინის მეგობარიაო...

— დღევანდელი ოპოზიციის მიზანი საქართველოს კეთილდღეობა რომ არ არის, თითქმის ყოველდღიურად მტკიცდება. ახლაც ასეთი შეფასებით შეეცადნენ, დაეკნინებინათ ორბანის ვიზიტის მნიშვნელობა. თუ პოლიტიკოსობაზე ამბიციები აქვთ, ოპოზიციამ ისიც კარგად უნდა იცოდეს, რომ დიდ პოლიტიკაში მეგობრები არ არსებობენ. ისიც კარგად გვახსოვს, როგორ უსამართლოდ მოგვექცნენ შარშან ევროკავშირში, როდესაც კანდიდატის სტატუსი არ მოგვცეს. ჩემი აზრით, სწორად მოიქცა უნგრეთის პრემიერი, რომ ოპოზიციას საერთოდ არ შეხვდა. ორბანის ვიზიტმა ჩვენი ქვეყნისა და უნგრეთის ურთიერთობა მაღალ რანგში აიყვანა. ის საერთაშორისო ორგანიზაციებში, ევროკავშირში დახმარებას და მხარში დგომას შეჰპირდა საქართველოს ხელისუფლებას, რაც მნიშვნელოვანია. ისიც აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურ-ეკონომიკურ საკითხებზე მოლაპარაკებების გარდა, სტუმარს ჩვენი ისტორიული ძეგლები დაათვალიერებინეს. კადრებში კარგად ჩანდა ორბანის მეუღლის აღტაცებული და გაკვირვებული სახე, რომელიც აშკარად მოიხიბლა საქართველოს ისტორიული ძეგლებით. გასაოცარი აქ არაფერია, რადგან ორბანი მსოფლიოს დღევანდელ პოლიტიკოსებს შორის ერთ-ერთია, რომელიც ეროვნული ტრადიციების მიმდევარი და პატივისმცემელია. ამიტომ, რაც უნდა თქვას ოპოზიციამ, ვერაფრით დაკნინებს მისი ვიზიტის მნიშვნელობას. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა კარგად ხედავს ჩვენი ხელისუფლების ეფექტიან მუშაობას. ოპოზიციის ნაწილი პირდაპირ თუ ირიბად, რუსეთისგან იღებს დაფინანსებას, რაც საზოგადოებამ კარგად იცის, მაგრამ რუსეთთან მეგობრობას ისინი სხვას აბრალებენ.

— საქართველოს უსაფრთხოების სამსახურმა ცოტა ხნის წინათ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ქვეყანაში მორიგი „ფერადი რევოლუცია“ იგეგმება. თქვენ რეალურად მიგაჩნიათ მსგავსი სცენარი?

— უშიშროების სამსახურმა, ფაქტობრივად, გაშიფრა ოპოზიციის სურვილი, ქვეყანაში არეულობა მოაწყონ, რისთვისაც უცხოეთიდან ტრენინგების ჩასატარებლად რადიკალური შეხედულებების „ტრენერები“ ჩამოიყვანეს. თუმცა, დესტრუქციული ოპოზიციის გარდა, არავის უნდა საქართველოში ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდებით შეცვლა. ქვეყნის შიგნით არეულობა ათწლეულობით დაგვწევს უკან და რაც გვაქვს, იმასაც დავკარგავთ. ამიტომაც დაიწყო სუს-მა გამოძიება. ოპოზიციის წარმომადგენლები იმასაც წამოაძახებენ ხოლმე ხელისუფლებას, გამოძიებები ადრეც ჩაატარეთ, მაგრამ არავინ დასჯილაო. ერთი მხრივ, მართლებიც არიან, 2012 წლიდან მოყოლებული, ხელისუფლება მათი მკაცრად დასჯით არ არის დაინტერესებული. მართალია, ცალკეული პირები გაასამართლეს, მაგრამ მასობრივი დაპატიმრებები, როგორიც ნაცრეჟიმის დროს იყო, არ განუხორციელებიათ. ახლა სუს-ი ვალდებულია, ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული გამოძიება. რევოლუციებითა და არეულობების მეშვეობით ხელისუფლებაში მოსულებმა რაც მოუტანეს თავიანთ ქვეყნებს, კარგად ვხედავთ.

— როგორ ფიქრობთ, წელს მივიღებთ ევროკავშირის წევრობის სტატუსს?

— ბოლო პერიოდში საერთაშორისო ორგანიზაციები დადებითად აფასებენ საქართველოს ხელისუფლების საქმიანობას. ვფიქრობ, სტატუსის მიღების დიდი შანსი გვაქვს. მიმაჩნია, რომ ევროკავშირი უნდა იყოს დაინტერესებული ჩვენი გაწევრიანებით რეგიონში არსებული არასტაბილური ვითარების გამო. რუსეთისთვის პრობლემას არ წარმოადგენს ევროკავშირში ჩვენი გაწევრიანება, იქაური ხელისუფლება ნატო-ში ჩვენს გაწევრიანებას ეწინააღმდეგება. სამწუხაროა, რომ რუსეთი აფხაზეთში აპირებს სარაკეტო დანადგარების განთავსებას.

— ჩვენს სამშობლოში მნიშვნელოვანი ცვლილებებია, მხედველობაში აზერბაიჯან-სომხეთის ურთიერთობა მაქვს. სომხეთმა მთიანი ყარაბაღი დათმო. რა მოხდა?

— აზერბაიჯანი მარტო ვერაფერს მიაღწევდა, თურქეთმა ითამაშა დიდი როლი. ამის გარდა, პრეზიდენტი ალიევი საკმაოდ ჭკვიანურად მოიქცა — მოლაპარაკებები არ შეუწყვეტია რუსეთთან, რომელმაც სომხეთის მხარე დაიკავა. სომხეთის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი სუსტი პოლიტიკოსი აღმოჩნდა — რუსეთს განუდგა და კურსი დასავლეთისკენ აიღო. ახლახან ყირგიზეთში გამართულ დსთ-ის მეთაურთა სამიტზეც არ ჩავიდა, სადაც დაგეგმილი იყო რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან პირისპირ შეხვედრა. ასევე, ვარაუდობდნენ სამმხრივ — რუსეთ-სომხეთ-აზერბაიჯანის მოლაპარაკებას. თუ სომხეთში ხელისუფლება შეიცვალა, ყარაბაღის საკითხი კვლავ წინ წამოიწევს, მაგრამ როგორ შეძლებენ პრობლემის მოგვარებას, ესაა საკითხავი.

— ახლო აღმოსავლეთში ომი გაჩაღდა ისრაელსა და დაჯგუფება „ჰამასს“ შორის. მოვლენების განვითარების რა პერსპექტივებს ელით?

— მშვიდობას რომ ალტერნატივა არ აქვს, კიდევ ერთხელ გამოჩნდა. სამწუხაროა, რომ დაბომბვებს მშვიდობიანი მოსახლეობა ეწირება, რაც ყველაზე სავალალოა, ორივე მხარეს იღუპებიან ბავშვები. საერთაშორისო ნორმებით, ომის დროს ჩადენილი სასტიკი დანაშაულის შემთხვევაში, საქმეში საერთაშორისო კრიმინალური სასამართლო ერთვება. სავარაუდოდ, ამ შემთხვევაშიც დაიწყება მოკვლევა. როგორ განვითარდება მოვლენები, ძნელი სათქმელია. ვხედავთ, რომ ისრაელის წინააღმდეგ ერთიანდება მუსულმანური სამყარო. თუ ისრაელი გაიმარჯვებს, ტერიტორიულად გაფართოვდება, ამით ამერიკის შეერთებული შტატები უკრაინაში წარუმატებლობას გადაფარავს. თუ ისრაელისთვის სავალალო შედეგით დასრულდება ომი, ნატო-ს პოზიციებიც დასუსტდება საერთაშორისო არენაზე. აქვე საკითხავია, საიდან ჰქონდა „ჰამასს“ დიდი რაოდენობით დასავლური შეიარაღება. არსებობს ვარაუდი, რომ უკრაინა ყიდიდა შავ ბაზარზე. ეს აშშ-ის სპეცსამსახურებმა უნდა გამოიძიოს.

— ბატონო გრიგოლ, საქართველოში ბევრი ებრაელი ცხოვრობს, ბევრს ისრაელში ჰყავს ნათესავები და მეგობრები. ასეთ დროს რა უნდა გააკეთოს ჩვენმა ქვეყანამ?

— აუცილებელია, ხელისუფლებამ გაატაროს ნეიტრალური, გაწონასწორებული პოლიტიკა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე. საქართველოს სპეცსამსახურებმა კი როგორც ჩვენი მოქალაქეების, ასევე უცხოელების მკაცრი კონტროლი უნდა განახორციელონ, რათა თავიდან ავიცილოთ საფრთხეები. საქართველო ხომ ევროპა-აზიის გზაგასაყარზეა და აქ მშვიდობას, სტაბილურობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვისაც და, საერთოდ, მსოფლიოსთვისაც.

გია ბურდული
551 71 27 07

ნეთანიაჰუ გოლდა მეირის ბედს გაიზიარებს

4 გვ.

დაუყოვნებლივ, გაანადგურა ტერორისტები და გაათავისუფლა ყველა მძევალი, მაგრამ თვითონ დაიღუპა. ერთი ებრაელი დაიღუპა მთელი ამ ოპერაციის დროს და ეს იყო ბენიამინ ნეთანიაჰუს ძმა, იონათამი. ასეთი ოჯახი აქვს ისრაელის პრემიერ-მინისტრს. ის არ არის შემთხვევითი პიროვნება ისრაელში. მას ბოლო წლებში ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა რუსეთთან, 17-ჯერ იყო ჩასული მოსკოვში, ბოლო 4-5 წლის განმავლობაში, მაგრამ ახლა ეს რეალობაც შეიცვლება, რადგან, რაც უნდა ამტკიცოს მოსკოვმა, რომ უკრაინელები იარაღს ყიდდნენ ჰამასის მებრძოლებზე არავინ დაიჯერებს.

ამჯერად მსოფლიო სუნთქვაშეკრული ელოდება, როგორ წარიმართება ეს სახმელეთო ოპერაცია, რადგან თუ ის ზომაგადასული სიმკაცრით ჩატარდა, არის საფრთხე, რომ სიმპათია, რომლითაც დღეს ებრაელი ხალხი სარგებლობს, მშვიდობიანი არაბი მოსახლეობისკენ გადაიხაროს. ჰამასს არ ვგულისხმობ, რასაკვირველია, ის ვერასდროს გახდება მსოფლიოს სიმპათიის ობიექტი. ასევე, საინტერესოა, ირანი როგორ მოიქცევა. ირანმა უკვე ჯარები მიიყვანა ერაყის საზღვართან, რადგან თუ გადაწყვეტს, ჩაერთოს ამ ომში, ერაყი უნდა გაიაროს. ლიბანის სამხრეთით კი ჰეზბოლაა გაძლიერებული. ჰეზბოლა ათჯერ უფრო ძლიერი იყო ყოველთვის, ვიდრე ჰამასი. მას 40-ათასამდე კარგად გაწვრთნილი „ბოევიკი“ ჰყავს. ჩაერთვებიან თუ არა ისინი ამ ომში, ვნახოთ. ყველაზე მთავარი მაინც ის არის, როგორ დასრულდება მძევლების გათავისუფლების ოპერაცია. არის ცნობა, რომ მოსადმა ეს ოპერაცია უკვე დაიწყო, მაგრამ ამის დადგენა ძნელია. არ არის გამორიცხული, რომ ბოლო მომენტში ჰამასმა ტყვეები დახოცოს, თუმცა, დახოცვაც არ აწყობთ, რადგან, რაც უნდა იყოს, თავიანთ რეიტინგს უფრთხილდებიან. იციან, რომ არავინ მოუწონებს 120 უდანაშაულო ადამიანის, ბავშვის, ქალისა თუ მოხუცის დახოცვას, მათ შორის, არც მეგობარი ქვეყანა ირანი.

- რუსეთ-უკრაინის ომის ასეთი გახანგრძლივებისა და ახლა უკვე ისრაელ-პალესტინაში მიმდინარე ომის ფონზე, მესამე მსოფლიო ომის დაწყების საფრთხე ხომ არ არსებობს?

- არა, ამის საფრთხე არ არსებობს. არც უკრაინის და არც ისრაელის გამო მესამე მსოფლიო ომს არავინ დაიწყებს. მსოფლიო ომის საშიშროების კუთხით გაცილებით სერიოზულია ტაივანის პრობლემა, რადგან, თუ ჩინეთი ტაივანისთვის ბრძოლას დაიწყებს, შესაძლოა, მასში ამერიკაც ჩაერიოს.

ნონა ქარქაშაძე

დავით ქართველიშვილი: სავსებით შესაძლებელია პოლონეთში სამოქალაქო ომი დაიწყოს

პოლონეთში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები. მმართველმა პარტიამ დიდი ალბათობით დაკარგა უმრავლესობა 460-მანდატიან სეიმში. იაროსლავ კაჩინსკის პარტიამ „სამართალი და სამართლიანობა“ ეგზიტპოლების მიხედვით ამომრჩეველთა 36,8% მხარდაჭერა მოიპოვა. მისი უახლოესი კონკურენტია “სამოქალაქო კოალიცია”, რომელიც აერთიანებს ფემინზმის, ლიბერალიზმის, სეკულარიზმისა და “ელ-ჯი-ბი-თი” თემების ინტერესდამცველებს - 31,6%. ოპოზიციური “მესამე გზა” აგროვებს 13%-ს, ხოლო “მემარცხენეები” - 8,6%. ასე რომ, თუ ოპოზიციური სპექტრი შეძლებს გაერთიანებას - სეიმის უმრავლესობაც მათ ხელში იქნება და მთავრობის ჩამოყალიბების ბერკეტებიც.

ოდნავ მაინც რომ გვქონდეს წარმოდგენა, რა ტიპის პოლონეთთან შესაძლოა გვქონდეს საქმე ახლო მომავალში, მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან: “სამოქალაქო კოალიციის” ლიდერი რაფალ თშასკოვსკი, სულ რაღაც სამი წლის წინ გამოდიოდა ინიციატივით, ქვეყნის კათოლიკური ეკლესიის ბაზაზე შექმნილიყო ცალკე ტაძრები, რომელთა “მრევლი” მხოლოდ “ელ-ჯი-ბი-თი” თემის “მორწმუნე” წარმომადგენლები იქნებოდნენ, შესაბამისი ორიენტაციის “სამღვდელოებით”. მსგავსი სიგიჟე პოლონურ ეკლესიას მისი დაარსების დღიდან ჯერ არ შეხებია.

ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ქვეყნის კონსერვატულ ნაწილში უკვე გაისმის რადიკალური მოწოდებები. ასე მაგალითად, პოლონეთის არმიის გენერალმა პეტერ პიტელმა განაცხადა, რომ არჩევნებში მმართველი პარტიის მარცხის შემთხვევაში, ის არ გამორიცხავს ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდებით შენარჩუნების შესაძლებლობას. ქვეყნის ექს-პრეზიდენტმა ლეხ ვალენსამ კი დასძინა, რომ სავსებით შესაძლებელია პოლონეთში დაიწყოს სამოქალაქო ომი და ქვეყნის მოსახლეობის ჯანსაღმა ნაწილმა ხელში იარაღი აიღოს.

კომპანია „საქართველოსგან“ დაზარალებული მოქალაქეები ზიანის ანაზღაურებას ეროვნული ბანკისგან მოითხოვენ

თბილისის საქალაქო სასამართლო ეროვნული ბანკის წინააღმდეგ საზოგადოებისათვის ერთ მნიშვნელოვან დავას განიხილავს. საქმე ეხება მიკროსაფინასო ორგანიზაცია „საქართველოს“, რომელიც მაღალი საპროცენტო განაკვეთის რეკლამირებით კლიენტებისგან დიდი ოდენობით ფულად სახსრებს იზიდავდა. მოულოდნელად კომპანია გაკოტრდა და, შედეგად, ჩვენი არაერთი მოქალაქე დაზარალდა.

90-იანი წლებიდან კარგად გვახსოვს პირამიდის პრინციპით „მოღვაწე“ კომპანიები, რომლებიც ადამიანებს სწრაფ გამდიდრებას ჰპირდებოდნენ. იოლი ფულის შოვნის სურვილი ხშირად იმდენად მიმზიდველი იყო, რომ მოტყუებული მოქალაქეები კომპანიებს ყოველგვარი გარანტიის გარეშე ანდობდნენ მთელი ცხოვრების განმავლობაში ნაგროვებ თანხებს.

მიკროსაფინასო ორგანიზაცია „საქართველოს“ ხელმძღვანელებს - მერაბ ფერაძეს და თამაზ ლობჟანიძეს დიდი რაოდენობით თანხის მითვისება-გაფლანგვის გამო სასამართლომ მრავალწლიანი პატიმრობა მიუსაჯა, მაგრამ ვინ აუნაზღაურებს ფულად ზიანს დაზარალებულებულ მოქალაქეებს და რა ვალდებულება ეკისრება სახელმწიფოს? - ჯერჯერობით ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემას არავინ ჩქარობს.

კომპანია „საქართველოს“ მეანაბრეებმა გამოსავლის ძიების პროცესში აღმოაჩინეს, რომ ამ თაღლითურ სქემაში ლომის წილი, სავარაუდოდ, სახელმწიფო ინსტიტუტებსაც მიუძღვის. დაზარალებულებმა სარჩელი ეროვნული ბანკისა და საქართველოს პროკურატურის წინააღმდეგ შეიტანეს. საინტერესოა ამ საქმესთან, რა შუაშია სახელმწიფო ინსტიტუტების პასუხისმგებლობა, თუმცა მოსარჩელეთა არგუმენტებიდან გამომდინარე, მათი პრეტენზიები საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს.

დაზარალებულთა ადვოკატი გაიოზ ნიჟარაძე აღნიშნავს: „მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მსჯავრდებულ პირებს დაზარალებულთა სასარგებლოდ დაეკისრათ ფულადი თანხების ანაზღაურება, სასამართლო გადაწყვეტილება ფიზიკურად ვერ სრულდება. მერაბ ფერაძის, თამაზ ლობჟანიძისა და თამარ მეტრეველის საქმის განხილვისას გამოირკვა, რომ შპს საფინანსო კომპანია „საქართველომ“, სადაც ფულადი თანხები ანაბრების სახით შეტანილი ჰქონდათ ჩემს მარწმუნებლებს ჯერ კიდევ 2012 წლიდან, ეროვნული ბანკისთვის ცნობილი იყო საფინანსო ორგანიზაცია „საქართველოს“ პოლიტიკა, მაგრამ მას, როგორც ლიცენზიის გამცემ ორგანოს, არავითარი ზომები არ მიუღია. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა ეროვნული ბანკის ერთმა თანამშრომელმა დაადასტურა ეს ფაქტობრივი გარემოება. აღნიშნულის შესახებ ცნობილი იყო საქართველოს პროკურატურისთვისაც, მაგრამ მასაც არ მიუღია არავითარი ზომები. შესაბამისად, დაზარალებულები ახლა უკვე ეროვნული ბანკისა და პროკურატურისგან ითხოვენ ზიანის ანაზღაურებას.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მოპასუხეები სარჩელს არ ცნობენ, არ ეთანხმებიან და სასამართლოს სთხოვენ, არ დააკმაყოფილოს მოქალაქეთა მოთხოვნა. თუმცა, კანონის მიხედვით, თუ სისხლის სამართლის ერთ საქმეზე გამოძიების მიერ დადგენილია ეროვნული ბანკის გულგრილობა, მას მართლაც მოუწევს დაზარალებულ მოქალაქეთა ზიანის ანაზღაურება. ცნობისთვის, ეროვნული ბანკი ვალდებული იყო, როგორც საფინანსო ინსტიტუტზე ლიცენზიის გამცემ ორგანოს, ეკონტროლებინა უკანონო საქმიანობაში შემჩნეული ორგანიზაცია, დაესაჯა, შეეჩერებინა საქმიანობა, დამატებით დაეჯარიმებინა თანხების არამართებულად ბრუნვისა და მოქალქეთაგან დაგროვილი პრეტენზიების გამო. რაც არ გააკეთა და, შედეგად, არაერთი მოქალაქე დაზარალდა. ამ საქმეში რა შუაშია პროკურატურის ორგანოების როლი, რისკენ მიგვანიშნებს დაცვის მხარე, გაურკვეველია.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამო თვალს მივადევნებთ ამ სასამართლო პროცესს, იმედს ვიტოვებთ, რომ სიმართლე დადგინდება და დაზარალებულების პრეტენზიები დაკმაყოფილდება.

ლევან ჭიღლაძე
557 74 98 87

კატარი ევროპას გაზის შეწყვეტით ემუქრება

უკვე ათი დღეა, ომის ცეცხლი გიზგიზებს ახლო აღმოსავლეთში, მაგრამ მის ჩაქრობას არავინ ჩქარობს. პირიქით, ცალკეული პოლიტიკოსები კოცონს ნავთს თუ არა, ფიჩხს მაინც აყრიან. განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში „ქორებად“ წოდებული პოლიტიკოსები არიან აგრესიულები.

„ჰამასის“ მოულოდნელი შეტევა ისრაელის არმიამ დაგვიანებით, მაგრამ მაინც შეაჩერა. მანამდე შეიარაღებულმა, ტერორისტულად აღიარებულმა დაჯგუფებამ უამრავი ადამიანის მოკვლა მოასწრო, მათ შორის, ბავშვების, აიყვანეს მძევლები და თავი ღაზას სექტორს შეაფარეს. საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი ისრაელის ავიაცია დღემდე ბომბავს ღაზას სექტორს. ათ დღეში დაბომბვებს ორი ათასზე მეტი მშვიდობიანი მოსახლე შეეწირა, მათ შორის, ათეულობით ბავშვი. ისრაელის ჯარი აკონტროლებს ღაზას სექტორთან საზღვარს და მიმდებარე ტერიტორიას. მიუხედავად გატარებული ზომებისა, ისრაელელ სამხედროებს უხდებათ, აღკვეთონ „ჰამასის“ მებრძოლების ქვეყანაში შედწევის მცდელობა. სრული დატვირთვით მუშაობს საჰაერო დაცვის „რკინის თაღად“ წოდებული სისტემა, რადგან „ჰამასი“ სარაკეტო შეტევებს განაგრძობს.

ახლო აღმოსავლეთში საბრძოლო მოქმედებების გააქტიურებისთანავე, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხმელთაშუა ზღვაში ისრაელის დასახმარებლად ატომური ავიამზიდი „ჯერალდ ფორდი“ გაგზავნა. გემი კი ჰქვია, მაგრამ, ფაქტობრივად, წყალში მოძრავი ქალაქია. ავიამზიდის ეკიპაჟი 2500 სამხედრო მოსამსახურისგან შედგება. მასზე განთავსებულია 90 თვითმფრინავი, მათ შორის, უახლოესი მოდიფიკაციის ვერტმფრენები, აქვს საკუთარი ავტონომიური საჰაერო თავდაცვის სისტემა. მოკლედ, სრულფასოვანი სამხედრო ბაზაა, რომელიც უკვე ისრაელის სანაპიროს სიახლოვესაა. ამის გარდა, ხმელთაშუა ზღვაში პენტაგონმა მეორე ავიამზიდი გააგზავნა.

ავიამზიდის გაგზავნის გარდა, „ჰამასის“ შეტევის მეორე დღესვე აშშ-იდან ისრაელში ჩაფრინდა ორი სამხედრო-სატვირთო თვითმფრინავი, რომლებმაც სამხედრო შეიარაღება ჩაიტანეს. ისრაელში რეზერვისტების საყოველთაო მობილიზაცია გამოცხადდა და ორ დღეში თადარიგის 360 ათასი მებრძოლი გამოცხადდა დისლოკაციის ადგილებზე.

მოსახლეობას გასულ კვირას კვლავ მიმართა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ. მისი განცხადებით, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე და ქვეყანაში საომარი მდგომარეობის გამო, აუცილებლად მიაჩნია საგანგებო მთავრობის შექმნა. მოგვიანებით ნეთანიაჰუს იდეას ქნესეთმა მხარი დაუჭირა. ისრაელის თავდაცვის მინისტრმა საგანგებოდ განაცხადა, რომ დაჯგუფება „ჰამასსა“ და მის დაქვემდებარებაში არსებული ინფრასტრუქტურას მთლიანად გაანადგურებენ, ბლოკადაში მოაქცევენ ღაზას სექტორს მშვიდობიან მოსახლეობასთან ერთად. გარდა ამისა, მოითხოვეს პალესტინელების განადგურება, რაც უკვე გენოციდია.

საგანგებოდ დაავალა აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა სახელმწიფო დეპარტამენტის მდივანს ენტონი ბლინკენს, ისრაელში ჩასულიყო. ჩინოვნიკმა დავალება გასულ პარასკევს შეასრულა. „...ისრაელში ჩამოვედი არა მარტო როგორც სახელმწიფო მდივანი, არამედ, როგორც ებრაელი... ვიდრე აშშ არსებობს, მარტოებს არ მოგიწევთ თავის დაცვა,“ — უთხრა ბლინკენმა მასპინძლებს. ნეთანიაჰუმ მადლობა გადაუხადა ბლინკენს, ბაიდენს და, საერთოდ, აშშ-ს, დახმარებისთვის. აქვე გავიხსენებთ, რომ მთავარ, ძირითად მოკავშირე ქვეყნებს შორის ურთიერთობა წლის დასაწყისში იმდენად დაიძაბა, ნეთანიაჰუმ ჩინოვნიკებს აუკრძალა მის გარეშე აშშ-ში ვიზიტების განხორციელება.

ისრაელიდან ბლინკენი იორდანიაში ჩავიდა, სადაც მასპინძლების გარდა, პალესტინის ლიდერს მაჰმუდ აბასს შეხვდა, რომელსაც თავისი პრეტენზიები აქვს ისრაელისა და აშშ-ის მიმართ. თუმცა, ბლინკენის განცხადებით :„...ისრაელის ხელისუფლებას არა მარტო უფლება, მოვალეობაც აქვს, დაიცვას თავისი მოსახლეობა“. ბლინკენი ჩავიდა ეგვიპტეშიც. თუმცა, ახლო აღმოსავლეთში განხორციელებულ მის ვოიაჟს ექსპერტები არაეფექტიანად მიიჩნევენ.

სახელმწიფო მდივნის შემდეგ ისრაელში აშშ-ის თავდაცვის მინისტრი ლოიდ ოსტინი ჩავიდა. „...ახლა ნეიტრალიტეტის დაცვის დრო არ არის. აშშ ყველაფერს გააკეთებს, რათა ისრაელმა მიიღოს იმ რაოდენობის იარაღი, რაც სჭირდება“, — განაცხადა მან. აღსანიშნავია, რომ ისრაელში ჩავიდა ევროკავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ურსულა ფონ დერ ლაიენი, რა მიზნით, უცნობია. საერთოდაც, რა შუაშია ევროკავშირი ახლო აღმოსავლეთში?!

არავინ უარყოფს, რომ ნებისმიერ ქვეყანას თავდაცვის უფლება-მოვალეობა აქვს. თუმცა, ისრაელის მიერ განხორციელებული სამხედრო ოპარაციას გადაჭარბებულად მიიჩნევენ არაბული ქვეყნები. „ჰამასის“ ინფრასტრუქტურების გარდა, დაიბომბა ქალაქი ღაზა, სადაც, პრაქტიკულად, დაუნგრეველი შენობა აღარ დარჩა. დანგრეულია საავადმყოფოები, რის გამოც პაციენტებს ექიმები პირდაპირ ღია ცის ქვეშ უწევენ დახმარებას. ღაზას სექტორს არ მიეწოდება ელექტროენერგია, აღარ აქვთ საწვავი ტრანსპორტისთვის. ვითარება ჰუმანიტარულ კრიზისს მიუახლოვდა. პალესტინელებმა ისრაელის არმია ფოსფორიანი ჭურვების გამოყენებაში დაადანაშაულეს. ძნელია სიმართლის დადგენა, რადგან სექტორში უშუქობის გამო ცუდი კავშირია, იქ შესვლაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. საჰაერო დაბომბვების შედეგად ბევრი მშვიდობიანი მოსახლეა დაღუპული, მათ შორის, ბავშვები. „ჰამასის“ განცხადებით, ისრაელის მიერ სექტორის დაბომბვას მძევლებიც შეეწირნენ, მათ შორის, უცხოელებიც. ამასობაში კი „ჰამასი“ კვლავ განაგრძობს სარაკეტო შეტევებს ისრაელის ქალაქებზე.

უკვე რამდენიმე დღეა, ისრაელი სახმელეთო შეტევებისთვის ემზადება, რისთვისაც საზღვრის სიახლოვეს თავი მოუყარეს დიდძალი რაოდენობის ცოცხალ ძალებს, ტანკებს, ჯავშანტექნიკას. ღაზას სექტორის ჩრდილოეთი რაიონების მოსახლეობას მოუწოდეს, დატოვონ საცხოვრებლები და სამხრეთისკენ წავიდნენ, რადგან სახმელეთო ოპერაციის დაწყებას აპირებენ. ისრაელის ხელისუფლების განცხადებით, მათ სურთ, მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი აიცილონ თავიდან. თუმცა, სად უნდა დაბინავდნენ დევნილები, უცნობია, რადგან სამხრეთ რაიონში არანაირი პირობები არ არის მათ დასაბინავებლად. არც ტრანსპორტია, რომლითაც მოსახლეობა წასვლას შეძლებდა.

გაუგებარია, როგორ მოხდება მილიონზე მეტი მაცხოვრებლის ერთბაშად გადაყვანა, მაგრამ ისრაელის ხელისუფლებას ეს არ აინტერესებს, მათი მიზანი „ჰამასის“ მებრძოლების სრული განადგურებაა. გავრცელებული ინფორმაციით, რამდენიმე ათასი მაცხოვრებელი უკვე წავიდა სამხრეთისკენ, ზოგი მანქანით, უმეტესობა ფეხით. როგორც იუწყებიან, მათ ისრაელის ჯარებმა ცეცხლი გაუხსნეს, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. აღსანიშნავია, რომ ტერიტორიების დასატოვებლად თავდაპირველად ხალხს 24 საათი მისცეს, ვადა რამდენჯერმე გადაწიეს. რთულ ვითარებაზე ისიც მეტყველებს, რომ ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ნეთანიაჰუს მოუწოდა, „ჰამასის“ წინაღმდეგ მხოლოდ პროპორციული ძალა გამოიყენოს.

ღაზას სექტორის საჰაერო მასიურმა დაბომბვებმა არაბული სამყაროს უკმაყოფილება გამოიწვია. კატარი იმუქრება — თუ ღაზაზე შეტევები გაგრძელდება, ევროპას გაზის მიწოდებას შეუწყვიტავს. ირანელებმა მოუწოდეს ისრაელს, შეწყვიტონ ღაზას დაბომბვა, „...თორემ ხვალ გვიან იქნება“, — გააფრთხილეს ის. თურქეთისა და ჩინეთის ხელისუფლების განცხადებით, ისრაელის მოქმედება თავდაცვის ფარგლებს გასცდა. უცნობია, რას მოიმოქმედებს ლიბანი. თუმცა, იქაური შეიარაღებული ფორმირება „ჰეზბოლა“ დროდადრო შეტევებს ახორციელებს ისრაელზე. პალესტინელების მხარდამჭერი აქციები იმართება ამერიკასა და ევროპის ქვეყნებში. არაოფიციალური მონაცემებით, ევროპაში 25 მლნ-ზე მეტი მუსულმანია და არავინ იცის, მათგან რამდენია რადიკალური შეხედულების. ექსპერტები არცთუ უსაფუძვლოდ შიშობენ, ევროპაში მიგრანტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის რადიკალური დაპირისპირება არ მოხდეს, რისი ნიშნებიც, სამწუხაროდ, არსებობს.

სახმელეთო ოპერაცია ღაზას სექტორში მარტივი რომ არ იქნება, ამას თავად ისრაელის მაღალჩინოსანი სამხედროებიც ადასტურებენ. იქ უამრავი გვირაბია, რომელსაც თავს აფარებენ „ჰამასის“ მებრძოლები. რადიკალების გასანადგურებლად ქალაქების მთლიანად დანგრევა გახდება საჭირო. გვირაბები დიდ სიღრმეზეა გაყვანილი. მათ დასანგრევად ისრაელი ძლიერი მოქმედების ბომბების გამოყენებას აპირებს, რომლებსაც აშშ-ისგან მიიღებენ. სამხედრო ექსპერტებს აინტერესებთ, როგორ შეძლებენ ტანკები ვიწრო ტერიტორიაზე მანევრირებას. მათ მიაჩნიათ, რომ ომი დროში გაიწელება. პოლიტოლოგები შიშობენ, ომი არ გასცდეს ისრაელ-პალესტინის საზღვრებს და რეგიონულ, უარეს შემთხვევაში, ახალ მსოფლიო ომში არ გადაიზარდოს, რისი საფრთხეც რეალურად არსებობს.

აღმოსავლეთ აზიაშიც არასტაბილური ვითარება მას შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა, როდესაც აშშ-მა ჩინეთის ზღვაში ატომური ავიამზიდი „რონალდ რეიგანი“ გააგზავნა. მიზანი სამხრეთ კორეასთან ერთობლივი წვრთნების გამართვაა, ამ ფაქტმა გააღიზიანა ჩინეთი, რომელმაც მზადყოფნაში მოიყვანა საკუთარი შეიარაღებული ძალები. ჩრდილოეთი კორეა ღიად იმუქრება, რომ საჭიროების შემთხვევაში სამხრეთში არსებულ აშშ-ის ყველა სამხედრო ბაზას გაანადგურებს.

როგორც ვხედავთ, მსოფლიოს მომავალი ბუნდოვანია. აშშ-ის პრესამ ქვეყნის ერთ-ერთი ანონიმი მაღალჩინოსნის გამონათქვამი გაავრცელა: „...ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, ერთდროულად შევებრძოლოთ ჩინეთსა და რუსეთს“.

ანალიტიკოსებისთვის უცნობია, როგორ შეძლებს აშშ, დაეხმაროს ერთდროულად რამდენიმე ქვეყანას შეიარაღებით. უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი მოულოდნელად ჩავიდა ბრიუსელში ნატო-ს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე. იგი შეშფოთებულია, რომ ისრაელში განვითარებული მოვლენების გამო სამხედრო დახმარებას შეუმცირებენ. ბრიუსელში კი მიიღო 200-მილიონიანი დახმარების გარანტია, მაგრამ ალიანსში ცივად დახვდნენ. სტოლტენბერგმა, მართალია, მსუბუქად, მაგრამ ხელი უბიძგა. ოსტინის თქმით, „...აშშ-ს შესწევს ძალა, ერთდროულად დაეხმაროს უკრაინას და ისრაელს“. ჯონ კირბიმ, თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა: ...ჩვენ დავეხმარებით უკრაინას, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი...“.

ჯო ბაიდენმა ფილადელფიაში განაცხადა: „ვცდილობთ, ისრაელს ჰქონდეს ყველაფერი, რაც სჭირდება, მაგრამ გვაღელვებს ჰუმანიტარული ვითარებას ღაზას სექტორში“. ამიტომაც მოუწოდა თეთრი სახლის ადმინისტრაციამ ისრაელს, გადადოს სახმელეთო ოპერაცია.

პოლიტიკური კრიზისი აშშ-ში კვლავ გრძელდება. გასულ კვირას კონგრესში ვერ შეძლეს სპიკერის არჩევა. კანდიდატი რესპუბლიკელი ჯიმ ჯორდანია, რომელსაც მხარს აქტიურად უჭერს დონალდ ტრამპი. ამავდროულად, რესპუბლიკელები ითხოვენ ენტონი ბლინკენის, ლოიდ ოსტინისა და ჯეიკ სალივანის (პრეზიდენტის თანაშემწე თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში) თანამდებობებიდან გადაყენებას, რომლებიც თავს ვერ ართმევენ დაკისრებულ მოვალეობებს.

როგორც ვხედავთ, მსოფლიოში ვითარება ყოველდღიურად მწვავდება. სამწუხაროა, რომ ჯერაც არავინ გამოჩნდა, ვინც ცხელ თავებს გააგრილებს და მდგომარეობას დააშოშმინებს.

გია ბურდული
551 71 27 07

დალმაშენებლის მავზოლეუმი

გავიხედე და, ქალები ჭყლოპინებდნენ, მიშას მისაღები იხსნება, ყველა მსურველს შეეძლება მისვლაო. ამიდუღდა აზრები — ვერაფრით წარმოვიდგინე, რომ „ოცნება“ ისე დაამუშავეს, ისედაც კომფორტულად მოკოტრიალე სიმულანტს ახლა მისაღებსაც უხსნიდნენ.

გავიხედე და მართლა მისაღები არ დავინახე? გზად ახალი კამერ-ფრეილინას სამადლობელი სიტყვაც შემომხვდა, ახალდროების სიმულანტ კამოს ისევ პრეზიდენტად რომ აღიქვამს და ასეც მოიხსენიებს. ერთი შეხედვით, ეს ქალი ნორმალურს ჰგავს, მაგრამ აბა, ამასა ჰყოლია ზემოთა უბანში მწყერები! მხოლოდ ამას? ჩინური წარმოების კამერ-ფრეილინა სოფო ჯაფარიძემ მოგვახსენა, რომ მადლობა ეკუთვნით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“

წევრებსაც, რომელთა დახმარებითა და ჩართულობითაც მიხეილ სააკაშვილის ოფისი გაიხსნა. ამათ რომ ყველას ერთნაირად აქვთ დაცურებული და, შესაბამისად, მიშას ჰანგზე მღერიან, დიდი ხანია, ვიცით, მაგრამ იდეა რომ ჰქონიათ, რომელსაც საქართველოს თავისუფლება რქმევია, ეს მთლად აღმაფრთოვანებელი საქმეა!

ეს ჩიტირეკია კამერ-ფრეილინა ის არ ბრძანდება, კოვიდისტერიის დროს ცრუ უადგილობაში საწოლ-ფონდების გამგებელი რომ იყო, თუ ის კიდევ სხვა არის?

რეები არაკუნა ქალმა — სააკაშვილისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, არის და იქნება ჩვენი საზოგადოების აზრი და ის ყოველთვის, როგორც იდგა ჩვენი მოქალაქეების გვერდით, ახლაც, ამ ოფისის მეშვეობით, შეძლებს, რომ თითოეული მათგანის გვერდით იდგესო. იმდენი შენ დაგიმშვენდა ცხვირ-პირი!

რა საინტერესოა, ეს ქალი საიდან და ვინ ამოაძვრინა ჩირგვებიდან საშზეოზე? განა რამეა, ესეც ისეთივე ჩვეულებრივი ნაცია, როგორც ყველა, ტვინი რომ აქვთ გადაგლესილი და დაზომბებულებივით ერთსა და იმავე გაზეპირებულ ფრაზებს იმეორებენ — მიხეილ სააკაშვილი პუტინის ტყვეა! პუტინის არა, სუსლოვის ტყვეა კიდევ და ლავრენტი ბერიასი...

გავიგეთ, რომ იბრძოლებენ ბოლომდე და ძალიან მალე გაიმარჯვებენ კიდეც, მაგრამ რა იარაღით აპირებენ ბრძოლას?

უტიფრობის ზეობა მოაწყო ამ „ვინმე ქალმა“: „ყველამ კარგად ვიცით, სად არის მიხეილ სააკაშვილი! მიხეილ სააკაშვილი არის რუსული რეჟიმის ტყვე. ძალიან სკეპტიკურად უყურებდა ხალხი და მათ არ სჯეროდათ, რომ მიხეილ სააკაშვილი დატოვებდა აი, ამ ძალიან დიდ პატივისცემას და აღიარებას, რაც მას უკრაინაში ჰქონდა და აქვს, მაგრამ მან გადადგა ძალიან რთული და ძალიან პატრიოტული ნაბიჯი. ის ჩამოვიდა იმისათვის, რომ ჩვენ ერთად გავათავისუფლოთ ჩვენი ქვეყანა.“

ეს უდღეური ნაკრები — მათგან არის გასათავისუფლებელი საქართველო და ესენი რომელ საქართველოს ათავისუფლებენ? ამ სექტას ცნობიერ-ქვეცნობიერში თანაბრად დაელექა აწ უკვე ნანახ-ნაგულარ უნახავს, ნეტავ, რა დანიშნულება აქვს-მეთქი? ეჭვნეულად გადავხედე „მისაღებს“, ვიფიქრე, აქ სადმე შოლტიც ეგდება-მეთქი, მაგრამ მყისიერად გავიაზრე, რომ შოლტი მოფარებულში იდება... მთლად დანამდვილებით ვერ ვიტყვი, მნახველმა ქალებმა უნდა გაშოლტონ ხელბორკილდადებული აღვირახსნილი თუ პირიქით, მან უნდა გაშოლტოს ახვინტრიცებული ქალები, მაგრამ ლოგიკურად, ორივე მისაღებია.

ძალიან დამაბნია „სააკაშვილის საზოგადოებრივმა ოფისმა“, მეორადების მაღაზიაა, თუ რა ხდება? დედა „კენწოს“ 4 ათას დოლარიანი ჯემპრით დადის, შვილს ტანისამოსს სწირავენ —გეუბნებით, ესენი, ყველანი სერიოზულად სამკურნალოები არიან.

მიშა-კლონზე ფიქრებმა არ მომასვენა და ბოშათა ბარონებიც გამახსენდა, გარდაცვლილებს რომ საფლავად უძვირფასესი ნივთებით გაძეძგილ მიწისქვეშა ოთახს უწყობენ და ძვირფას მანქანასაც ატანენ საიქიოში — კაცი ცოცხალია და რა მავზოლეუმს უწყობენ, სულ გაგიჟდა ნაცსექტა?

მავზოლეუმზე ლენინი გამახსენდა. ის გვამად მაინც არის წამოპლაკული „ოროთახიანში“ და ცოცხალიაო, გვამღერებდნენ 70 წელი, ეს ჩვენის მიშას კლონი ცოცხალია და, ფაქტობრივად, მკვდარ ბელადად გვასაღებენ. პოლიტიკურად მკვდარი კი არის, მაგრამ მაინც...

მეგრელებმა იცოდნენ და ზოგან ახლაც არის შემორჩენილი მიცვალებულთან დაკავშირებული უცნაურობები, მაგრამ ეს მაინც ნამეტანია.

„კაბინეტს“ ჰგავს, „კასტუმი“ ჩანს, ტიპი — არა.

კარგად შევათვალიერე „კლონის“ მისაღები და თაროზე ხელბორკილი გადმოკონწიალებულიყო გამომწვევად. ნეტავ, რაზე უნდა მიანიშნებდეს-მეთქი? — ამეშალა ფიქრები და დამეძაგრა ტვინი. ის, რომ კლონ-ნამდვილი სააკაშვილის რეჟიმი 9 წელი ბორკილებს ადებდა სრულიად საქართველოს, იმის გამოსახატავად ნამდვილად არ დადებდნენ; არც ის შეეფერება, მისი პატიმრობის სიმბოლოდ გამოეფინათ — კაცი პატიმრობაში არ არის, ხელბორკილის სიმწარე უკრაინის შემდეგ, ქეჩოთი როდესაც მიათრევდნენ,

თვით მიშა თუ მისი კლონიც რომ ხარობენ? ძალიან მიხარია, რომ სოფო ჯაფარიძემ „ენმ“-სთან ერთად გახსნა ჩემი მისაღები ოფისი. ძალიან მაინტერესებს ხალხის აზრი, ჩვენი ხალხით ვცხოვრობ, ვიძინებ და ვიღვიძებ. სოფო უნიჭიერესი, უმაგრესი მებრძოლი და ქვეყნის დიდი პატრიოტია. მოკლედ, თქვენი იმედი მაქვსო, — შეტყობინებას შეტყობინებაზე აცხობს კლიენტი „ვივამედიდან“.

ეგონოს, რომ ამ მარაზმით მისი ხალხიც ხარობს! ისეთი დასაბმელია „დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე“ ლაშა ბუღაძე, სავარაუდოდ, „უბორნიოდანაც“ გამოვიდა და ისე დაწერა: „ახლა შემომხვდა „მიხეილ სააკაშვილის მისაღების“ ფოტოები და თავიდან ვიფიქრე, რომ მარინა აბრამოვიჩის ინსტალაციაა. კიდია პიჯაკები, იქვე დევს ბოტასებიც და წინ კი ცარიელი მაგიდა დგას... კართან წარწერით: „საქართველოს პრეზიდენტი“, ოღონდ, თავად სუბიექტი იქ არ მდებარეობს.

ჰოდა, რა არის ეს? ეჟენ იონესკოს პიესაა აბსურდის ჟანრიდან თუ სპირიტისტული სეანსის სივრცე? შეხვალ, პრეზიდენტის პიჯაკს ჩაუთქვამ სურვილს და ბოტასი კი მისაღების გამხსნელის ხმით ამოგძახებს: „გადაგზავნილია“... აბა, ოთახში თავად არ ზის და...

უკაცრავად, მაგრამ რას ამასხარავებთ ამ კაცს, რომელიც ობიექტურად მძიმე ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ მდგომარეობაშია?!

შეხედეთ მის ჩართვას სასამართლოზე და დარწმუნდებით... თუ თავს თვითონვე იმასხარავებს?! ალბათ, არც უმაგისობაა... ცოტა მეტი სერიოზულობა რომ მართებდეს ყველას, უთუოდ კარგი იქნებოდა. მაგრამ უკვე გვიანია... „მრევლი“ პიჯაკებთან კომუნიკაციითაც კმაყოფილია“ (რაც დაწერა, ის გაახლეთ. ხელი ცოტა კი წავუკარი პუნქტუაციაზე, მაგრამ გავიფიქრე, რა მრჯის-მეთქი და დავანებე თავი.)

გავხედე და მართლა ჩამომსხდარან მისაღებში დედა-გიულიდან დაწყებული, ვისაც ესწრაფებოდა „სააკაშვილის მისაღებში“ მიღება და ნეტარებასთან ერთად სახეზე აწერიათ, როგორ შურთ ახალი კამერ-ფრეილინასი, რა ნიჭიერი გოგოა, მე რატომ არ მომივიდა აზრად ასეთი დიდებული იდეაო. უფრო მაგარი იქნებოდა, კედელზე ფრთაგაშლილი ანი წითლიძის ფიტულიც რომ მიეჭედებინათ. სულაც არ იქნებოდა დროში გაწელილი ამბავი, გამომშრალი ისედაც არის და მიჭედებას რაღა დიდი ამბავი უნდა.

ჩვენში დარჩეს და, ნიჭიერი თუ არა, მაგარი შებერტყილი კი ყოფილა ეს ახალი სოფო, ჯერ ის რა გაჩარხა კოვიდტერორის დროს და ახლა ეს რა მოიგონა და მოაწონა რომელიღაც მიშას, ან ორივეს ერთად, ნამდვილსაც და კლონსაც. გამოლაყუნდება მერე ნაცსექტა და დაიწყებს გაზეპირებული ფრაზების რახუნს, როცა ის ვერ გაუგიათ, რა ხდება მათი ბელადის თავს, **ცოცხალი მკვდარი ჰყავთ, მკვდარი ცოცხალი, თუ სულაც, კლონი?**

რა სასაცილოები არიან, ოღონდ, ბოროტი და მავნებელი საზიზღრად სასაცილოები...

ზურაბ ოშხერელი



ცოცხლად დამარხულები



ნეტავ, ის გამაგებინა, ვინ მოავჯადოვა თუ დაწყევლა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა?“ — მიამიტი სახით ვიკითხავდი გულუბრყვილოდ, მაგრამ გამეცინება და ისეთი ხვიხვინი ამიტყდება, „ტაბულა ბიცოლა“ შარს მომდებს, მე ვიცი ასეთი სიცილი და ჩემგან მოიპარაო.

აგერ, ახლა, „ჩერგო“ ელენე ხოშტარიას აქილიკებს: „ასეთი პრინციპულობა, რასაც დავით კეზერაშვილის პრომოუტირებასა და დაცვაში იჩენს, არც ერთი იდეოლოგიური პრინციპის დაცვაში არ გამოუვლენია. კვოტებიდან ისე მომასრიალა, გაღიმებული დავრჩი, არადა, სულ ორი ძირითადი არგუმენტი მქონდა როცა მის პოლიტიკაში შემოსვლას ვუჭერდი მხარს: სააკაშვილისთვის საჯარო წინააღმდეგობის გაწევა შეეძლო და გენდერულ კვოტებს და ქალების პოზიტიურ დისკრიმინაციას მხარს არ უჭერდა — ორივეში გადამაგდო, მაგრამ აი, „კეზერა“ ელენეს ყველაზე პრინციპული არჩევანი გამოდგა. ნეტავ, რატომ?

ჩვენ არ შევეკვრებით არავის, ვინც ოლიგარქიას პრინციპულად არ ემიჯნება. ჩვენ არ დავუჭერთ მხარს ოლიგარქიის ოლიგარქიით ჩანაცვლებას!“

მთელი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რაგინდ მარტივ მამრავლებად დაიშალოს, მაინც ერთნი არიან, მაგრამ გარედან საყურებლად სხვანაირი დასანახია.

სეფე სიტყვა მაინც გიგი იგულავამ თქვა იმ მათთვის მძიმე დროს, ისეთი, რომ გვეგონა, ყურებს ხელში დააჭერინებდნენ, მაგრამ ისეთ გასაჭირშია „ნაცსექტა“, ერთი კაცი ისედაც ასად ეჩვენებოდათ და ახლა ასი ათასის ტოლფასია, „სხვა რამის თქმა უნდოდა და სხვანაირად გამოვიდაო“, ამის თქმას და „გაპრავებას“ რა უდგას წინ, დეფიციტში მოხვედრილი სინდისი თუ ნამუსი.

საქმე ის გახლავთ, რომ რაც მაშინ იგულავამ თქვა დიდი წინასწარმეტყველივით, ეტყობა დღემდე ახსენებენ, არ დაუვიწყეს და წარა-მარა აძახებენ. ეს დაღდასმული კი, ეგებ რამენაირად გამოვისყიდო წამონაყრანტალებიო, ხან ცემენტად მოიხსენიებს მიხეილ სააკაშვილს და ხან დედამიწის ღერძად.

აბა, ამ სიტყვების თქმა შეიძლებოდა?

გიგი იგულავა: „ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ დღეს საქართველოს პრობლემა არის ბიძინა ივანიშვილი და მისი არაფორმალური მმართველობა. მიხეილ სააკაშვილი დღეს არის მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავის პრობლემა, მიხეილ სააკაშვილი თითოეული ჩვენგანისთვის არის დღეს ადამიანური ტკივილი. ეს ადამიანი დღეს აღარ ასხივებს ლიდერობას. მე ამას ვამბობ გულისტკივილით, იმიტომ, რომ ეს არ არის მიშა სააკაშვილი, რომელიც ხალხს აერთიანებდა 2002 წელს. ჩვენ, პოლიტიკოსები, ყველანი ვართ მანქანებივით, რომლებიც გემსახურებათ თქვენ. როდესაც მანქანა დაკარგავს თავის ფუნქციას, მაგრამ ის მანქანა კიდევ გიყვარს, შეიძლება ის დააყენო და მოუარო როგორც ანტიკვარს და თუ ის ანტიკვარად არ იქცა და თუ ის ისევ გაწუხებს, მაშინ მეორე გადაწყვეტილება შეიძლება მიიღო — ეს მანქანა, შეიძლება, მოისროლო ჯართში. ყველა პოლიტიკოსი ვართ ამ არჩევანის წინაშე“.

ეს ჩვენის რქოსანი თეძოვიჩი რომელი პოლიტიკოსი მყავს, მაგრამ ჯანდაბას, დაიბრალოს, აი, მიშას ჯართობისა კი საინტერესოა…

რა ქნა იმ ჯადო-კაცმა!

ჩამოუქროლა ალალივით და მიპუტმოპუტა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. ვინც იგუმანა, რა მოხდებოდა, შეირგო, რაც მოქაფა და ძეძვნარში მიიმალა, დარჩენი დოყლაპიები კი დგანან ახლა და დროდადრო პოლიტიკის უღრან ტყეში დაკარგულები ერთმანეთის ნაკვალევსღა სუნავენ...

ხმა გავარდა, „ნაცმოს“ ნარჩენების ნაწილი კუნძულ კვიპროსზე გაილალაო. დიდი „ხაბე“, პეტრე ცისკარიშვილი, გიორგი ბოტკოველი და დავით კირკიტაძე რომ დასტურ წავიდნენ „კეზერასთან“, გავიგეთ, მაგრამ ჭიჭე-კაცის ამბავი როგორ არის, ნეტავ, ჩუმად მიეახლა?

დავით კალანდია: „სტრატეგია აღმაშენებელში“ უარყოფენ, რომ გიორგი ვაშაძე დავით კეზერაშვილთან შესახვედრად კვიპროსში გაემგზავრა...

— ბატონი გიორგი უბრალოდ გაემგზავრა კვიპროსში, — თქვა ოთხკუთხედმა მანჯგალაძემ, — წელიწადის ამ დროს ის კვიპროსში დადის.

— რატომ დადის კვიპროსში? — ჰკითხა აბეზარა კორესპონდენტმა და დიდი მიკროფონი ოთხკუთხედს პირთან მიუტანა.

ოთხკუთხედმა მიკროფონს უსუნა, დაიჯღანა და ეჭვიანად ჰკითხა: ჩემამდე სად გედოთ ეს მიკროფონი?

— აქ მე ვსვამ კითხვებს, — მკაცრად უპასუხა კორესპონდენტმა, — და თქვენ ვალდებული ხართ, მიპასუხოთ, რათა არ შეუშალოთ ხელი ჩემს პროფესიონალურ საქმიანობას.

ოთხკუთხედი დაფრთხა.

— გპასუხობთ, ბატონი გიორგი დადის კვიპროსში, რათა არ შეხვდეს კეზერაშვილს.

— აბა, რა უნდა კვიპროსში?

— იქ... იქ..... იქ მისი ბებია ცხოვრობს, — უცებ მოიფიქრა ოთხკუთხედმა მანჯგალაძემ და გაუხარდა, — დიახ, უღრან კვიპოროსში ცხოვრობს მისი ბებია, ბებია პელოსი. ბებია პელოსის მოსანახულებლად წავიდა და კალათით ღვეზელი წაუღო.

— ერთი ღვეზელი?

— რატომ ერთი? ორი...

— თავზე წითელი ქუდი ხომ არ ეხურა?

— და თქვენ რა იცით? — გაუკვირდა ოთხკუთხედს.

— ჩვენ ყველაფერი ვიცით, — ცივად მიუგო კორესპონდენტმა, — და გზაში ალბათ, კეზერაშვილი შეხვდა და ბებიისკენ მიმავალი მოკლე გზა უჩვენაა?

— მე დუმილის უფლებას ვიყენებ, — თქვა ამაყად ოთხკუთხედმა, რომელსაც ყოველთვის უნდოდა ამ კლასიკური წინადადების თქმა და ახლა ამისი საშუალება მიეცა...“

კი, ნამდვილად ასე იქნებოდა, როგორც ბატონი დავითი ბრძანებს, რადგან წყაროთმფლობელმა ელისომ როგორც კი დაწერა, თუ გინდათ, მოგიყვებით, რა მოხდა კუნძულ კვიპროსზე, ლარნაკაშიო (კვიპროსის ექვსი რაიონიდან ერთ-ერთია, რომლის დედაქალაქიც ლარნაკაა), აჟრიამულდნენ ლარნაკის წყალდალეულები.

წყაროთმფლობელი ელისო: „მოგიყვეთ ლარნაკაზე საიდუმლო სერობის დეტალები?

როგორც მოსალოდნელი იყო, პარტიის მენეჯმენტის გამოძახება „ბილტმორის“ შეკრების გამოძახილია.

მენეჯმენტი მიიჯირყვნა — „კეზერამ“, მელია იმიტომ ბლატაობს, რომ თქვენ ხართ უსაქმურები და ვერაფერს აკეთებთო.

თუ არ გაინძრევით და არ იმუშავებთ, მოგვიწევს მისი მიღებაო. გვარამია მოდის და მაგასაც დიდი მადა რომ არ გაეხსნას, ამიტომ მაქსიმუმი უნდა აჩვენოთ რისი ტრ***ი გაქვთო.

ბრძოლა სიებზეა და არა გამარჯვებისთვის. ცხადია, ჩემზეც იყო ლაპარაკი. დეტალები ვიცი, მაგრამ არ დავწერ!

P.S. მოკლედ, ორი ნიკას ჯიბრზე ბრძოლის ახალ გეგმას ველოდები.

ჰო, ვანო ჩახსნილია ამ ეტაპზე, ერთი არაფორმალური მმართველი დაგვრჩა ოპოზიციაში.“

ისე უცნაურად დაალიანდაგ-დააზიგზაგა იმ უჩინარმა ჯადო-კაცმა მთელი „ნაცსექტა“, ზიგ-ზაუერის კაკალ გულში დაკვრაც აღარ უშველით, — არიან თუ აღარ არიან, ვერ გაუგიათ.

ზოგადად, მეხსიერება არ მღალატობს, მაგრამ „ნაცსექტის“ „დვიჟენიები“ 2012 წლის შემდეგ ნაკლებად მაინტერესებდა, ამიტომ, ეგებ კი ვცდები, მაგრამ ასე მახსოვს. „ნაცსექტა“ თავდაპირველად ოთხმა დაბოლილმა დატოვა. რა ვიცი, დაბოლილები თუ არ იყვნენ, პარტიას „გირჩი“ რა პონტში დაარქვეს? მერე კიდევ, ხან პირდაპირ ეთერში ქოთანში მარიხუანას რგავდნენ და ხან „გირჩი-მამაოები“ შექმნეს (მგონი, ის „გირჩიც“ გაეყოთ და გადმოცვივდნენ გირჩის თესლები თეთრ-მწვანედ...).

„წარბებშეტრუსულ გოჭზე“ და მის „გირჩზე“ ნაკლები რითი ვარო და „ეკოლოგიურ კატასტროფაში მოყოლილმა ფრინველმაც“ აატყლაშუნა მაზუთიანი ფრთები და ზურაბ ჯაფარიძის გაგირჩებას თავისი გიორგი ვაშაძური „ახალი საქართველო“ მიადევნა.

ამის არანაკლებ დაბოლილი და ფანტაზიორი ჭკუა ვატირე, „ახალი საქართველოს“ ამშენებელი რომ არ იყო, მიხვდა და „სტრატეგია აღმაშენებლად“ გადაიქცა, ვითომ დიდი სტრატეგია, ერთი ნაბიჯი აშორებს დავით აღმაშენებელს, მაგრამ მთავარია, თავმჯდომარე ერქვას და კოლმეურნეობის თავმჯდომარეობასაც სიხარულით დათანხმდება. ნუ, კოლმეურნეობა არ უნდა ერქვას, „კიბუცი“ — მოსულა...

არ მოასვენა პოლიტიკური უძლურების განჭვრეტის ღრმა უნარმა და ბოლოს ისე შეესო ეკალივით უხერხულ ადგილზე, რომ მიაფურთხა საკუთარ უშობელ იდეებს და „დიდ ხაბეს“ მიუცუცქდა, გავერთიანდეთ, საერთო სტრატეგიაზე შევთანხმდეთო. იმ ჩვენის ნაბეთქმა კიდევ, ოღონდ ახლა ამანაც არ მცემოსო (რისი წინააღმდეგობის თავი აქვს სპორტდარბაზის გარეთ), სასწრაფოდ მისცა დასტური და ერთობლივი ბრიფინგიც დაგეგმეს ამ „მნიშვნელოვანი“ ამბის საჯაროდ გასაფორმებლად, მაგრამ „მელია და მისი რაზმი“ არ მიიწვიეს. ვიღაც ტიპმა, ბაჩო დოლიძე რომ ყოფილა, ამოიგმინა, თქვე ჩემის პატივცემულებო, რა პერსპექტივა აქვს თქვენს გაერთიანებას, 2024 წლის არჩევნებისთვის დამოუკიდებლად გებრძოლათ, არ ჯობდაო? ელაპარაკე ახლა ამას ვაშაძე აღმაშენებლის სტრატეგიაზე, გაიგებს რამეს?

„ევროპული საქართველო“ თავისთვის გადასრიალდა „მძინარე პითონის“ თამადობით და „მანგუსტა“ დაიყენეს „ნადზორად“...

მოკლედ, ოღონდ ელიავაზე „დაშლილებში“ ნუ ჩაგვაბარებთ, სატინგიცოდ მაინც დაგვტოვეთ პოლიტარენაზე და დაშლილები ნულიდან დავიწყებთ, იქით დარჩება ნაცპოპულიზმი და აქეთ იქნება პროგრესი და თავისუფლებაო. რისგან და ვისგან თავისუფლდებიან ეს ჩემის მეორადი ჟანგიანი ჭანჭიკები? — თურმე მავნებლური არაფორმალური რეჟიმისგან.

ისაო, კი დავიშალეთ, ვეღარც იდეები და აზრები შეგვიწყვია ჩონგურის სიმებივით და ვეღარც ნაცდოვლათი გაგვიყვია, მაგრამ სულისკვეთება და შვანცკის გორისკენ სწრაფვა ერთი გვაქვსო.

ფაქტია, რომ ნიგვზიანელი ქრისტინესავით ერთიმეორის მიყოლებით გაუბოზდნენ ერთმანეთს, ვისი ვიოლინი ვის როიალშია და ვისი ენა ვის ყურში დასლიკინობს, ვერ გაურკვევიათ, სულ „ჩიტები და ჩიტები“ დაფრინავენ. ვერ გაფაჩუნებულან, მაშინათვე აფრინდება ერთი ენატანია დიდი ჩიტი და საიდუმლო სერობების ამბები დეპეშად მიაქვს ჩიტთამპყრობელ ელისოსთან და არა მხოლოდ მასთან.

ჩავარდა ივანიშვილის გეგმა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დასუსტებულიყო და დაშლილიყო, ვიწყებთ განახლებული ნაციონალური მოძრაობის ახალ გზასო, — გადავარდნენ უტოპიაში მრავალგულავნანახი „ნაცები“ და განახლებულად გადაეწყვნენ.

ერთი „კალოდა“ ნაცები „დიდი ხაბეს“ ნაკრებშია, ძველ ნაცებში, ტრადიციულში, ოღონდ თვით „ხაბეს“ რა უნდა იქ და ვინ შეტენა წიხლით, ან რატომ, „ჩიტებსაც“ ვერ გაუგიათ;

მეორე „კალოდაში“ სისხლისმოყვარე ნაცების ნაკლებობაა და თითქოს რაღაცის შესაცვლელად ფაფხურობენ;

მესამე „კალოდა“ მიშას „უკვდავი პოლკია“, საეჭვო ფსიქიკური მდგომარეობის მქონე პირების ნაკრები, აღტკინებული მიშამადიდებლები, „მიშას მისაღებში“ გამოფენილი ბოტასებით ქრონიკული დაავადებებისგან რომ იკურნებიან და მიშას ნაცვამი მაისურიდან მომდინარე მირონს რომ საკუთარი თვალით ხედავენ. აბელა სეთურის პონტში ახლადაღზევებული სოფო ჯაფარიძე უდგათ, ახალდროების მდედრი კვაჭი კვაჭანტირაძე.

ახლა ხუტა უფროსის ხმით ვიკითხავ და ზოგიერთებს მაუზერსაც დავუტრიალებ ცხვირწინ: აბა, ახლა ვინ არის ცოცხლად დამარხული?!

ზურა ოშხერელი

იდუმალი მისტერ შარპი – ფერადი რევოლუციების მამა



ნოვატორი თუ კოპირაიტერი?

შარპის იდეების საფუძველი იყო მისი რწმენა, რომ დიქტატურასთან ბრძოლის არაძალადობრივი მეთოდები ძალადობრივზე ბევრად ეფექტიანია. სოციოლოგის სიტყვებით, თუ ოპოზიცია ძალადობის გზით მიდის, უპირატესობა თითქმის ყოველთვის მოქმედი რეჟიმის მხარესაა. მეცნიერს მიაჩნდა, რომ „დიქტატორები ძალადობის გამოსაყენებლად ყოველთვის მზად არიან“. Uუფრო მეტიც, შარპი ვარაუდობდა, რომ მშვიდობანი მეთოდებით მიღწეული ცვლილებები უფრო მდგრადი იყო.

შარპს მიაჩნდა, რომ რეჟიმის შესაცვლელად აუცილებელი იყო მისი სუსტი წერტილის მოძებნა, დარტყმის იმ წერტილში მიყენება და ამისთვის თავისი 198 არაძალადობრივი მეთოდის გამოყენებისკენ მოუწოდებდა.

შარპის მეთოდიკებში მშვიდობიანი ტაქტიკების გარდა, როგორიცაა დროშები და სიმბოლური ფერები (ამიტომაცაა რევოლუციები ფერადი), მის სიებში ბევრი სადავო მეთოდიცაა (როგორიცაა თვითდაწვა, ყალბი დოკუმენტების დამზადება და აქტივების ხელში ჩაგდება) და ძალადობრივი მეთოდიც (მაგალითად, ამბოხი — ჯარისკაცებისა და მეზღვაურების აჯანყება მეთაურების წინააღმდეგ). ამიტომ შარპის მეთოდიკები არაძალადობრივი სულაც არ არის. პირიქით, ხშირად მათი გამოყენება ძალოვან სტრუქტურებს აიძულებდა, პროტესტანტების წინააღმდეგ ძალადობისთვის მიემართათ. მეცნიერს ესმოდა, რომ მის მიმდევრებს საფრთხე ელოდათ, მაგრამ სჯეროდა, რომ ძალოვანი სტრუქტურების სისასტიკის გამოჩენა და პროტესტანტების „საკრალური მსხვერპლი“ რეჟიმის მხარდაჭერას შეასუსტებდა.

როგორც ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომელიც ფერად რევოლუციებსა და „რბილი ძალის“ პრობლემებს შეისწავლის, შარპის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ დროთა განმავლობაში თავის მხარეზე გადაიყვანოს ძალოვანი სტრუქტურები, დაანახვოს, რომ ისინი უბრალო ხალხის წინააღმდეგ გამოდიან, სინამდვილეში კი მის მხარეს უნდა იდგნენ. „ვიდრე ეს აწყობთ, გამოიყენება არაძალადობრივი მეთოდები, როცა უპირატესობა რეჟიმის მოწინააღმდეგეების მხარეზე გადადის, მაშინ ყველა საშუალებას იყენებენ — ქონების დაზიანებიდან დაწყებული ტერიტორიების დაპყრობით დამთავრებული“, — განაცხადა ექსპერტმა.

შარპის მეთოდიკის მეორე მნიშვნელოვანი პუნქტი ოპოზიციაში ჩამოყალიბებული სტრატეგიული გეგმის არსებობაა. მეცნიერი 1989 წელს ტიანანიმენის მოედანზე მომხდარი ტრაგიკული მოვლენების მოწმე გახდა. იგი იხსენებდა, რომ ის აღაფრთოვანა პროტესტანტების თავგანწირვამ და სიმამაცემ, მაგრამ დაამწუხრა იმან, რომ მათ მოქმედების გეგმა არ ჰქონდათ. ამიტომ იგი თავის მიმდევრებს სტრატეგიული გეგმის შედგენას და მის წიგნში აღწერილი რამდენიმე მეთოდიკის ერთდროულად გამოყენებას სთავაზობდა.

შარპი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა შეზღუდულ კამპანიებს, რომლებსაც ერთი კონკრეტული პრობლემის გადაჭრა ან ცალკეული უსამართლობის აღმოფხვრა შეეძლოთ: მაგალითად, ახალი კანონის ან შეზღუდვების გაუქმება, რომელმაც მოქალაქეების უკმაყოფილება გამოიწვია. წარმატებების სერია ხალხს საკუთარ ძალაში დაარწმუნებს და რეჟიმთან ბრძოლის იმპულსს მისცემსო, ამბობდა შარპი.

ამასთან, მეცნიერი მოუწოდებდა თავის მიმდევრებს, ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებზე დიდი იმედები არ დაემყარებინათ: „მოლაპარაკებები იმის მიხედვით წარიმართება, ვის როგორი ზომის ჯოხი აქვს მაგიდის ქვეშ დამალული, რომელიც ძალაუფლებისა და ძალის გამოხატულებაა“, — ამბობდა ჯინ შარპი.

შარპის თეზისებს ნოვატორულს და გამომგონებლურს ვერ უწოდებ. ამას თვითონაც აღიარებდა: „მე არაფერი გამომიგონებია, უბრალოდ, განვაზოგადე წარსულის საპროტესტო მოძრაობების გაკვეთილები“.

შარპი მრავალი წლის განმავლობაში შეისწავლიდა მაჰათმა განდის ფილოსოფიას და ბრიტანეთის კოლონიალიზმთან ბრძოლის გამოცდილებას, ამიტომ ამერიკელი მკვლევრის თხზულებები ინდოელი საზოგადო მოღვაწის იდეების გადამუშავება უფრო იყო. განდის შესახებ რომანტიზებული წარმოდგენა შეიქმნა, როგორც ასკეტსა და „მშვიდობის მტრედზე“, სინამდვილეში, მან საკმაოდ სერიოზული პროგრამა მოამზადა ინდოეთში ბრიტანეთის ბატონობის გასაუქმებლად. სწორედ ამ პროგრამას ავითარებდა შარპი თავის წიგნებში და გარდა ეკონომიკური წინააღმდეგობისა, არაძალადობრივი რევოლუციებისა და მასობრივი მშვიდობიანი პროტესტიც მექანიზმებიც დაუმატა.

რევოლუციური მოძრაობების ბრძოლაში ძალაუფლების მოსაპოვებლად ძალადობისა და არაძალადობის პრობლემატიკას ფუნდამენტურად შეისწავლიდა შარპის ბევრი წინამორბედი. ზოგიერთ მათგანს შარპი თავისი შთაგონების წყაროდ მოიხსენიებდა: არისტოტელეს და თომას გობსს, ჰენრი ტოროსა და მარტინ ლუთერ კინგ-უმცროსს. მის წიგნებში ლევ ტოლსტოის იდეებიც არის შესული, რომელმაც რამდენიმე თავისი ლიტერატურული და ფილოსოფიური შრომა მიუძღვნა „ბოროტებისთვის წინააღმდეგობის არგაწევას“.

ფაქტობრივად, შარპი თავის წინამორბედთა სწავლებების უნივერსალიზაციითა და მილიტარიზაციით იყო დაკავებული და ისინი პოლიტიკურ ტექნოლოგიად აქცია.

მისი მთავარი „მონაპოვარი“ ის იყო, რომ მან უკუაგდო ყველა მორალურ-ეთიკური საფუძველი, ტირანიისგან და კოლონიალური ბატონობისგან გათავისუფლებუის საინტერესო და სამართლიანი იდეა მმართველი რეჟიმების ცვლილებების აბსოლუტურად უპრინციპო ტექნოლოგიად აქცია.

მიუხედავად იმისა, რომ შარპი წერდა, რომ მისი შრომები მხოლოდ ავტორიტარული და დიქტატორული რეჟიმების წინააღმდეგ იყო მიმართული, სინამდვილეში, ისინი ყველგან გამოიყენებოდა, სადაც აშშ-ის ინტერესები ადგილობრივი პოლიტიკური ელიტების წინააღმდეგობას აწყდებოდა.



სოციოლოგს აკრიტიკებდნენ საკუთარი თეორიის უნივერსალიზაციისკენ სწრაფვასა და ზედმეტად გაუბრალოებაში, სოციალური, კულტურული, ეთნიკური და რელიგიური ფაქტორების უარყოფაში, რომლებიც საპროტესტო მოძრაობის ფორმირებასა და მის შანსებზე უშუალო გავლენას ახდენდა, მაგრამ სწორედ მისი იდეების უბრალოება და უნივერსალობა გახდა მისი წარმატების გარანტია. მისი წიგნები დაწერილია უბრალო ენით და წარმოადგენს უბრალო და გასაგები თეზისების კრებულს, მოქმედების ერთგვარ სახელმძღვანელოს.

მკვლევარი თუ აქტივისტი?

ამერიკელი სოციოლოგის თეორიული მოსაზრებები პოპულარული ვერ გახდებოდა, პრაქტიკაში ასეთი წარმატებული რომ არ ყოფილიყო: პოლიტიკური რყევები, ჯერ საბჭოთა კავშირში, შემდეგ კი პოსტსაბჭოთა სივრცეში 1990-2000-იან წლებში, შარპის შრომების შესანიშნავ რეკლამად იქცა. მისი ინსტიტუტი სოლიდურ ფინანსურ დახმარებას იღებდა ისეთი სტრუქტურებისგან, როგორიცაა ამერიკის მშვიდობის ინსტიტუტი, დემოკრატიის მხარდაჭერის ნაციონალური ფონდი, ფორდის ფონდი და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი, რომელსაც ჯონ მაკკეინი ხელმძღვანელობდა.

ვინ აფინანსებს პროამერიკულ ძალებს მთელ მსოფლიოში?

შარპს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ, პირველ რიგში, იგი მკვლევარია და არა აქტივისტი. მაგრამ არის მოვლენები, რომლებზეც ამერიკელმა სოციოლოგმა პასუხისმგებლობა აიღო, თანაც საკმაო სიამაყით: ბალტიისპირეთის საბჭოთა რესპუბლიკებში დისიდენტური მოძრაობების აფეთქებაზე, რომლებიც სსრ კავშირის შემდაგენლობიდან გასვლისთვის იბრძოდნენ. „დიახ, ეს სიმართლეა. ამის გამო წაყენებულ ბრალს ვაღიარებ, რადგან დიდ მიღწევად მივიჩნევ“, — განაცხადა შარპმა.

1980-იან წლების ბალტიისპირეთში ძალას იკრებდა მოძრაობა, რომელიც საბჭოთა კავშირიდან გასვლისთვის იბრძოდა. ამის უკან იდგა ალბერტ აინშტაინის ინსტიტუტი.

პირველი კონტაქტი მოსკოვში შედგა, როცა შარპმა წაიკითხა ლექციების სერია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში და თავისი ახალი წიგნი „საზოგადოებრივი თავდაცვა“ ბალტიისპირეთის რესპუბლიეკების წარმომადგენლებს უსახსოვრა.

მოგვიანებით ამერიკელი სოციოლოგი პირადად უწევდა კონსულტაციებს საპროტესტო მოძრაობების ლიდერებს: ლატვიაში — ტალავს იუნზისს, რომელიც დამოკიდებლობის შემდეგ თავდაცვის მინისტრის პოსტს იკავებდა, ლიტვაში — აუდრიუს ბუტკიავიჩუსს, რომელის იმავე პოსტს იკავებდა. ბალტიისპირელი დისიდენტები არასოდეს მალავდნენ, რომ აქტიურად იყენებდნენ შარპის მეთოდებს, ბუტკიავიჩუსმა კი განაცხადა, რომ ბირთვულ ბომბსა და ამერიკელი მკვლევრის წიგნს შორის წიგნს აირჩევდა.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ქვეყნები

უნგრეთი

ომში მონაწილეობის პერიოდი: 1941 წლის 27 ივნისი — 1945 წლის 8 მაისი (1411 დღე).

მოსახლეობა: 9,2 მლნ ადამიანი (1941).

შეიარაღებული ძალები: 400 ათასი ადამიანი (27 ფეხოსანი დივიზია, 2 მოტორიზებული ბრიგადა, 2 კავალერისტთა ბრიგადა, 1 სამთო-მსროლელთა ბრიგადა), დაახლოებით 300 ტანკი, 269 თვითმფრინავი.

ქვეყნის ხელმძღვანელობა: რეგენტი მიკლოშ ხორტი (1920 წლის 21 მარტი — 1944 წლის 15 ოქტომბერი), ერის ბელადი ფერენც სალაში (1944 წლის 16 ოქტომბერი — 1045 წლის 4 აპრილი). პარალელურად, 1944 წლის 22 დეკემბრიდან 1945 წლის 15 ნოემბრამდე, მოქმედებდა დროებითი პროსაბჭოთა ხელისუფლება

დებრეცენში, რომელსაც პრემიერ-მინისტრის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი ბელა მიკლოში ხელმძღვანელობდა.

ომში მონაწილეობის ისტორია: მიუხედავად იმისა, რომ უნგრეთი ფორმალურად ნეიტრალურ ქვეყნად რჩებოდა, მისმა ჯარებმა 1938 წელს სლოვაკეთის სამხრეთის, ხოლო 1941 წელს იუგოსლავიის ჩრდილოეთის ოკუპირება მოახდინეს. 1941 წლის 27 ივნისს უნგრეთმა ომი გამოუცხადა საბჭოთა კავშირს და ჯარები გერმანიის დასახმარებლად გაგზავნა. უნგრელები საომარ მოქმედებებს აწარმოებდნენ უკრაინაში, კერძოდ, გერმანელების ზურგში პარტიზანების წინააღმდეგ იბრძოდნენ. 1944 წლის 19 მარტს გერმანიამ უნგრეთის ოკუპაცია მოახდინა, რათა მისი ომიდან გასვლა არ დაეშვა. 1944 წლის აგვისტოში ხორტმა სსრ კავშირთან საზავო მოლაპარაკებები დაიწყო. სექტემბერში საბჭოთა ჯარის ნაწილები უნგრეთის ტერიტორიაზე შევიდნენ. 1944 წლის 15 ოქტომბერს გერმანელებმა ხორტი გადააყენეს და უნგრელი ფაშისტების ლიდერით ფერენც სალაშით ჩაანაცვლეს. 1945 წლის 13 თებერვალს საბჭოთა ჯარებმა აიღეს ბუდაპეშტი, უნგრეთის ჯარებმა შეწყვიტეს წინააღმდეგობა. რეალური ძალაუფლება ქვეყანაში საბჭოთა ადმინისტრაციის ხელში აღმოჩნდა.

დანაკარგები: სხვადასხვა მონაცემებით, დაიღუპა დაახლოებით 120-დან 200 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე; სამოქალაქო მოსახლეობას შორის დანაკარგებმა 450 ათასს მიაღწია.

შედეგები: უნგრეთის მრეწველობის 24% განადგურდა. ომის შემდეგ ქვეყანამ საბჭოთა კავშირს რეპარაციის სახით 200 მლნ დოლარი გადაუხადა, ჩეხოსლოვაკიასა და იუგოსლავიას კი 50 მლნ დოლარი თითოეულს. უნგრეთმა დაკარგა ყველა ტერიტორია, რომლებიც ომის წლებში შეიძინა და საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროში მოექცა.

ვენესუელა

ომში მონაწილეობის პერიოდი: 1945 წლის 15 თებერვალი-2 სექტემბერი (199 დღე).

მოსახლეობა: 4,3, მლნ ადამიანი (1945 წ.).

შეიარაღებული ძალები: 15 ათასი ადამიანი (1938 წ.).

ქვეყნის ხელმძღვანელობა: პრეზიდენტი ისაიას მედინა ანგარიტა 1941 წლის 5 მაისი — 1945 წლის 19 ოქტომბერი),

ომში მონაწილეობის ისტორია: 1939 წლის 4 სექტემბერს ვენესუელამ განაცხადა, რომ ომში ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებდა. 1941 წლის მაისში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ახალმა პროამერიკელმა პრეზიდენტმა გერმანიასთან და მის მოკავშირე ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის შესახებ განაცხადა, მაგრამ ომში ჩართვა მხოლოდ 1945 წლის 15 თებერვალს გადაწყვიტა, როცა გერმანიისა და იაპონიის დამარცხება აშკარა გახდა.

დანაკარგები: არ არის რეგისტრირებული.

შედეგები: ომმა ნავთობზე მოთხოვნის ზრდა განაპირობა. მისი მოპოვება ვენესუელაში 21,6-დან (1942) 56,5 (1946) მლნ ტონამდე გაიზარდა. შესაბამისად, იმატა ექსპორტით მიღებულმა შემოსავლებმაც.

გვატემალა

ომში მონაწილეობის პერიოდი: 1941 წლის 8 დეკემბერი — 1945 წლის 2 სექტემბერი (1364 დღე).

მოსახლეობა: 2,2 მლნ ადამიანი (1941 წ.).

შეიარაღებული ძალები: 2 ათასი ადამიანი (1938 წ.).

ქვეყნის ხელმძღვანელობა: პრეზიდენტი ხორხე უბიკო კასტანიედა (1931 წლის 14 თებერვალი — 1944 წლის 4 ივლისი), პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ფედერიკო პონსე ვანდესი (1944 წლის 4 ივლისიდან 20 ოქტომბრამდე), პრეზიდენტი ხუან ხოსე არევალო (1945 წლის 31 მარტი — 1951 წლის 15 მარტი).

ომში მონაწილეობის ისტორია: 1941 წლის 8 დეკემბერს აშშ-ის ზეწოლით გვატემალის მთავრობამ ომი გამოუცხადა იაპონიას, 12 დეკემბერს კი გერმანიასა და იტალიას, რის შემდეგაც ამერიკელებს თავიანთი სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზები დაუთმო. ომამდე პრეზიდენტი კასტანიედა მხარს უჭერდა გერმანელ მეწარმეებს, მაგრამ 1941 წლის შემდეგ ყავის ბევრი პლანტაციის ნაციონალიზაცია მოხდა, რომლებიც მათ ეკუთვნოდათ. გვატემალის შეიარაღებული ძალები ომში მონაწილეობას არ იღებდნენ.

დანაკარგები: არ არის რეგისტრირებული.

შედეგები: ამერიკულმა ინვესტიციებმა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას შეუწყო ხელი.

საბერძნეთი

ომში მონაწილეობის პერიოდი: 1940 წლის 28 ოქტომბერი — 1945 წლის 8 მაისი (1653 წელი).

მოსახლეობა: 7,4 მლნ ადამიანი (1940 წ.).

შეიარაღებული ძალები: 414 ათასი ადამიანი; 19 ფეხოსანთა დივიზია, 1 მოტორიზებული დივიზია, 1 კავალერისტთა დივიზია; 257 თვითმფრინავი, 1 კრეისერი, 2 მსუბუქი კრეისერი, 8 ესმინეცი, 6 წყალქვეშა გემი, 15 ტორპედოიანი კატერი.

ქვეყნის ხელმძღვანელობა: მეფე გეორგ II (1935 წლის 4 ნოემბერი — 1947 წლის 7 ნოემბერი), პრემიერ-მინისტრი იოანის მეტაკასი (1936 წლის 13 აპრილი — 1941 წლის 29 იანვარი), ალექსანდროს კორიზისი (1941 წლის 29 იანვარი — 18 აპრილი), ემანუილ წიდეროსი (1941 წლის 18-23 აპრილი), გეორგიოს ჩოლაკოღლუ (კოლაბორაციონისტი, 1942 წლის 2 დეკემბერი — 1943 წლის 7 აპრილი), იოანის რალისი (კოლაბორაციონისტი, 1943 წლის 7 აპრილი — 1944 წლის 4 ოქტომბერი), სოფოკლის ვენიზელოსი (4-18 ოქტომბერი, 1944 წ.), გეორგიუს პაპანდრეუ (1944 წლის 18 ოქტომბერი — 1945 წლის 3 იანვარი), ნიკოლას პლასტირასი (3-9 აპრილი, 1945 წ.), პეტროს ვულგარისი (9 აპრილი — 17 ოქტომბერი, 1945 წ.).

ომში მონაწილეობის ისტორია: 1940 წლის 28 ოქტომბერს იტალიის ჯარები ალბანეთის ტერიტორიიდან საბერძნეთში შეიჭრნენ. საბერძნეთის ჯარის ნაწილებმა გაუძლეს ზეწოლას და 14 ნოემბერს შეტევაზე გადავიდნენ. 1941 წლის 6 აპრილს საბერძნეთის ჯარმა შეწყვიტა წინააღმდეგობა კონტინენტზე, 27 აპრილს კი გეერმანელებმა ათენი დაიკავეს. საბერძნეთის ჯარის გადარჩენილი ნაწილები ინგლისელებთან ერთად იცავდნენ კუნძულ კრეტას, მაგრამ გერმანიის ჯარების საჰაერო-სადესანტო ოპერაციის შედეგად, 1941 წლის 20 მაისს კუნძულის დატოვებამ მოუწიათ. საბერძნეთის ოკუპირება მოახდინეს გერმანიის, იტალიისა და ბულგარეთის ჯარებმა. საბერძნეთის ჯარის ნაწილები განაგრძობდნენ ჩრდილოეთ აფრიკაში ბრძოლას. 1942 წლის ნოემბრიდან საბერძნეთში პარტიზანული მოძრაობა დაიწყო. 1944 წლის ოქტომბერში გერმანიის ჯარები საბერძნეთიდან გავიდნენ, რადგან ბალკანეთის ნახევარკუნძულზე საბჭოთა ჯარებს შეეძლოთ მათი დაბლოკვა, მათი ადგილი კი ინგლისელებმა დაიკავეს. ქვეყანაში სამოქალაქო ომი დაიწყო კომუნისტებსა და მონარქიის მომხრეებს შორის, რომელიც 1945 წლის თებერვლამდე გრძელდებოდა. ომში მონარქიის მომხრეებმა გაიმარჯვეს.

დანაკარგები: სხვადასხვა მონაცემებით, დაიღუპა 17-დან 100 ათას სამხედრომდე, სამოქალაქო პირთა შორის დანაკარგებმა 400 ათასს მიაღწია.

შედეგები: ჯერ ინგლისელების, მერე კი აშშ-ის მხარდაჭერის წყალობით საბერძნეთმა თავი დააღწია სოციალისტურ ბანაკში გადასვლას. 1946 წელს სამოქალაქო ომი განახლდა და 1949 წლამდე გრძელდებოდა. სამოქალაქო ომის შედეგად კომუნისტური მოძრაობა ქვეყანაში ჩაახშეს და საბერძნეთში მონარქია შენარჩუნდა.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, ა. წერეთლის გამზ.103;
ტელ.: 593 44-04-01; 234-45-35 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99